საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუნი სიფაქვაა, ფაქტიერებით და ჭირებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 10 იანვარი. 2022 წ. №4 (9342) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

სიცოცხლე ან სიკვდილი, აირჩიე სიცოცხლე!



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

„დგება დღე შეუდარებელი, სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებული არა მარტო კაცობრიობის ისტორიაში, არამედ მთელი სამყაროს არსებობაშიც.

ის, რაც 2022 წლის წინ იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემის ერთ მიტოვებულ, პირუტყვის თავშესაფრად გამოყენებულ გამოქვაბულში ზამთრის ცივ ღამეს აღესრულა, ენით უთქმელი სასწაულია, – იშვა ემანუელი!

მანამდე ღმერთი კაცობრივად არ მოვლენილა. მსგავსი რამ სამყაროში არასოდეს მომხდარა და არც მოხდება.

ეს არის დღე ცისა და მიწის, შემოქმედისა და ადამიანის ერთობისათვის გზის გამკვალავი, ეს არის დღე უფალთან ჩვენი დიდი მშვიდობის, დიდი შერიგების, დიდი სიხარულის დასაწყისისა.

გაცხადდა იაკობ მამამთავრის წინასწარმეტყველება: „წაერთმევა კვერთხი იუდას... ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“ (დაბ. 49, 10), რაც გულისხმობდა იმას, რომ, როდესაც ისრაელს აღარ ეყოლებოდა კანონიერი მეფე იუდას ტომიდან, მაშინ მოევლინებოდათ ზეციური მეუფე.

მართლაც, რომის იმპერიაში, მის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იუდეაში, პირველი წარმართი და უცხოტომელი მეფის, იდუმიელი ჰეროდეს მმართველობის ჟამს უცნაურმა ვარსკვლავმა და ანგელოზთა დასმა სამყაროს ამცნო იესოს შობა.

ეს იყო უფლის მოწყალების და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის მიერ ღვთის განკაცების მრავალათასწლიანი მოლოდინის შედეგი.

ამ გზაზე იყო ებრაელთა ერის მრავალგზისი განდგომა ღვთისგან, გაუცხოება ჭეშმარიტი რწმენისგან, შიში წარმართ დამპყრობელთა წინაშე და მათი გავლენის ქვეშ მოქცევა..., მაგრამ იყო სინანულიც, ღვთისადმი თავგანწირული ერთგულებაც და უფლისა და მოყვასისათვის მსახურების გამორჩეული მაგალითებიც.

დიდი რყევებისა და სულიერი ქარტეხილების მიუხედავად, სინას მთაზე მოსე წინასწარმეტყველისთვის მიცემული უფლის მცნებები ისრაელიანთა ღირსეულმა მოღვაწეებმა დაიცვეს და მოამზადეს კაცობრიობა მაცხოვრის განკაცებისთვის.

იხ. 2 გვ.

მინა-წყლით სამჯერ პატარა ისრაელი 25-ჯერ გვჯობნის!!!

ისრაელის სოფლის მეურნეობა არახელსაყრელი პირობების წინააღმდეგ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის წარმატებული ისტორიაა. არადა, ქვეყნის კლიმატი და წყლის ნაკლებობა ამ მიღწევას შეუძლებლად წარმოაჩენს. როდესაც საქართველოს და ისრაელს ადარებ, მიღწევები უფრო დასაფასებელი ხდება. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საქართველოს თითქოს ყველაფერი აქვს, თუმცა, შედეგი განსხვავებულია.

იხ. 6 გვ.

ანზორ თოთაძე:

შვილების ნაცვლად ძაღლებსა და კატებს ვამრავლებთ?

იხ. 3 გვ.

ირაკლი ღარიბაშვილი: მე მქონდა აბსოლუტურად ღია და გულწრფელი საუბარი ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლებთან. ბაზრის ყველა მსხვილი მოთამაშე მოვიწვიეთ, მათ ღიად ვესაუბრე, ვუთხარი, რომ ეს არის ჩვენი სურვილი. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო მოსაზრებები მოვისმინე მათგანაც და ახლა, როგორც კი ახალი მინისტრი „შევა ფორმაში“, მაქვს უკვე დაგეგმილი ორი-სამი ისეთი ნაბიჯი, რომელიც პირდაპირ დაარტყამს მედიკამენტების ფასებს.

მედიკამენტების სიძვირის მიზეზები თანდათან აშკარავდება!

იხ. 4 გვ.



5

„შავი სია“- ეშმაკეული მანიფესტი

ვინ სპეკულირებს ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებით(?!)

5



ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲐᲜ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ, ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ!

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) და, აი, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალ ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისგან მოევლინა ამ ქვეყანას „ნათელი სოფლისა,“... „რომლისგან ყოველივე შეიქმნა და მის გარეშე არც ერთი რამ იქმნა“ (ინ.1,3); მოევლინა, რათა კაცთა მოდგმისთვის ეხარებინა:

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ;“ (მთ. 11.28)

„მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება“(ინ. 6.35);

„მე ვარ კარი ცხოვართა, ვინც შედის ჩემით, გადარჩება“ (ინ. 8,12);

„მე ვარ ვაზი, თქვენ კი ლერწები, ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ განიგდება“ (ინ.15,5-6);

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (ინ. 14,8).

– რას გულისხმობს, უფრო სწორად, რისკენ მოგვიწოდებს ეს სიტყვები?

– სინერგიისაკენ, - ღვთაებრივი და ადამიანური ნების შეერთებისა და შერწყმისაკენ. ანუ იმისკენ, რაც უნდა იყოს ერთადერთი მთავარი აზრი და მიზანი ჩვენი ცხოვრებისა; ყველაფერი სხვა კი, მასთან შედარებით, ამაოებაა.

ჩვენში რომ მოხდეს სინერგია, აუცილებელია, შევძლოთ საკუთარი თავისა და ღმერთის, ჩვენი შესაძლებლობისამებრ, შეცნობა; ამისთვის კი უპირველესი პირობა ის არის, რომ ადამიანი წმინდა ნათლობით შეუერთდეს ქრისტეს; ასევე, ყოვლად აუცილებელია, თითოეულ ჩვენგანში მოხდეს პიროვნული შეხვედრა ღმერთთან.

ეს აუხსნელი, ადამიანური ლოგიკისათვის მიუწვდომელი მეტად შთამბეჭდავი მოვლენაა, რომელიც არავინ იცის, ვისთან და როდის აღესრულება. ისიც შეიძლება, რომ არასწორად ვცხოვრობდეთ, ცუდად ვიქცეოდეთ, ღმერთზე ფიქრსაც კი გავურბოდეთ, მაგრამ განსაცდელი, ან სხვა რამ შემთხვევა გამოგვაფხიზლებს, თვალს აგვიხელს ჩვენი ცხოვრებისა და აზროვნების წესს სრულიად შესცვლის და ჩვენი ნებითა და მონდომებით სიხარულით მიგვმართავს ცხონების ვიწრო და ეკლიანი გზისაკენ.

* * *

ᲓᲦᲔᲡ სხვა დროა, იტყვის მავანი... ჩვენ სხვა სამყაროში შევაბიჯეთ და ის, რაც ადრე იყო მისაღები და მოსაწონი, თანამედროვეთათვის მოძველებულია და არაფრისმომცემი.

მართლაც, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ინტერნეტმა მოიცვა მსოფლიო, ახალი ერა დაიწყო. ტექნიკის სფეროში, თანამედროვე სამყაროში, ახლა უკვე საოცარი პროგრესია მიღწეული, თუმცა თავი იჩინა ფრიად სერიოზულმა გამოწვევებმაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ ყველანი დედამიწის, როგორც უკვე ერთიანი საერთო სივრცის ნაწილნი, ყოფით ცხოვრებას ან მკვეთრად გავიუმჯობესებთ, ან გადაულახავი დაბრკოლებების წინაშე აღმოვჩნდებით.

გამოსავალი, რა თქმა უნდა, არსებობს და იგი, ჩვენის აზრით, მხოლოდ ერთია: ყველაზე მთავარი აქცენტი ყველას მიერ გადატანილი უნდა იქნას ადამიანზე და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოიწიოს იმ ღირებულებებმა, რაც მას შემოქმედთან დააახლოებს; ზეადამიანად გახდომის ამპარტავნული სურვილი კი დაღუპვის წინაპირობად გვექცევა.

„სიცოცხლე ან სიკვდილი,“ – ამ არჩევანის წინაშე აღმოჩნდა დღეს ადამის მთელი მოდგმა. ასეთი მასშტაბური და ყოვლისმომცველი ნაბიჯი მანამდე არ გვქონია გადასადგმელი.

„აირჩიე სიცოცხლე,“ – მოგვიწოდებს მოციქული.

მორწმუნეთათვის ეს ნიშნავს მცნებების დაცვით უფლის მიმსგავსებას, მაღალზნეობრივ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ნიშნავს ღვთის სადიდებლად სხვისთვის ცხოვრებას, რათა შემდეგ ცათა სასუფევლის მკვიდრნი გავხდეთ და მარადიულად ღმერთთან ვმყოფობდეთ.

ათეისტებისათვის კი ასეთი აზროვნება გაუგებარია და მიუღებელი, რადგან ისინი ეყრდნობიან ფორმულირებას: მჯერა ის, რასაც ვხედავ და არ მჯერა იმის, რაც უხილავია. ამიტომაც არც ღმერთის სწამთ, არც ჩვენი სულის არსებობის და არც მისი უკვდავების; ამასთან, მიიჩნევენ რა, რომ გარდაცვალებით ყველაფერი მთავრდება, ამქვეყნიური კეთილდღეობის ნებისმიერი საშუალებით მიღწევას, ხშირ შემთხვევაში, არ ერიდებიან.

* * *

მაგრამ, მორწმუნენი ვართ, თუ ურწმუნონი, როდესაც თუნდაც ამქვეყნიურ ჩვენს უკეთეს მომავალზე ვფიქრობთ, აუცილებლად წამოიჭრება მრავალი კითხვა, მათ შორის იმის შესახებ, თუ როგორ დავძლიოთ სიღატაკე, უმუშევრობა, დევნილთა პრობლემები, როგორ აღვიდგინოთ ტერიტორიული მთლიანობა? ...მაგრამ, ასევე, წამოიჭრება სხვა კითხვებიც, რომლებიც მუდამ აწუხებდა კაცობრიობას: რატომ დავიბადეთ? რატომ ვკვდებით? ვინ მოგვცა სიცოცხლე? რა არის იგი? რისთვის ვართ მოწოდებულნი? ...

რა თქმა უნდა, ორივე მიმართულებით გვმართებს ფიქრი, მაგრამ ამ ეპისტოლეში იმ თემებზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც სულიერ სფეროს მოიცავს და ღვთისკენ სავალი გზების ძიებაში დაგვეხმარება.

* * *

ᲒᲘᲒᲚᲘᲘᲡ პირველივე თავიდან გაცხადებულია დიდი საიდუმლოებანი მცენარეთა, ცხოველთა, ზღვის და ცის ბინადართა, ასევე, ღვთის მიერ სამყაროს შექმნის, ადამიანის დაბადებისა და მისი დანიშნულების თაობაზე.

„მე ვარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული“(გამოცხ. 1.8), - ბრძანებს მაცხოვარი.

„დასაწყისში იყო სიტყვა (ლოგოსი) და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი ... ყოველივე მის მიერ შეიქმნა, მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი...“ (ინ I.1-4); „წყალობით მდიდარმა ღმერთმა... შეცოდებით მკვდარნი გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად“ (ეფეს.2,4-5) და „ღვთის ძისადმი რწმენით გვაქვს საუკუნო სიცოცხლე“ (I ინ. 5,13), – ვკითხულობთ ძახალ აღთქმაში“.

სიკვდილი კი ცოდვის შედეგია, რომელიც მის გარეშე არ არსებობს და მასზეა დამოკიდებული.

„ცოდვის საზღაური არის სიკვდილი“ (რომ. 6,23), – ბრძანებს მოციქული. ხოლო რადგან „გულისთქმა ხორცის, გულისთქმა თვალის და ამპარტავნება ამქვეყნისაგან მომდინარეობს“ (I ინ. 2-16) და უფალთან კავშირი არა აქვს, ამ წესით მცხოვრებნი თავისი ნებით შორდებიან სიცოცხლის, სიწმინდის, სინათლის წყაროს, – ღმერთს და სულიერ სიკვდილს ექვემდებარებიან.

უფალთან ყოფნა კი ნიშნავს იმას, რომ უნდა მოვკვდეთ ცოდვისათვის, ანუ დავძლიოთ ის გაუკუღმართებანი, ადამის დაცემის შემდეგ რომ შევიძინეთ.

ღმერთთან მიახლებაში, მხოლოდ განსწავლულობა და მეცნიერული პროგრესი ვერ დაგვეხმარება; აუცილებელია სულიერი სიწმინდის მოპოვება, რადგან „ღმერთი სულია და მის თაყვანისმცემლებს მართებთ სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა“ (ინ. 4,24).

წმინდა მაკარი ეგვიპტელი წერს: როგორც სხეულს სხვა და სხვა ორგანო და ფუნქცია აქვს, ასევე სულსაც აქვს სხვა და სხვა გამოვლინება და ფუნქცია.

ᲡᲣᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲐ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ: ᲒᲐᲜᲬᲐ, ᲜᲔᲑᲔᲚᲝᲑᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲗᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲜᲐᲠᲘ; ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲡ, ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲝᲑᲐ; ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ, ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘ, ᲡᲘᲒᲠᲐᲚᲣᲚᲘ, ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ... ᲘᲡᲘᲜᲘ ᲦᲕᲗᲘᲕᲒᲝᲫᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲭᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲥᲛᲜᲘᲡ.

ცოდვებით შებღალული, უფლის ნათელს მოკლებული სულის თვისებები კი არის: ამპარტავნება, შური, კადნიერება, ღვარძლი, უსამართლობა...

ამ უნარებს სული ჩვენს გულსა და გონებაში ავლენს; ეს, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ანატომიური გული და ტვინი, მაგრამ სწორედ მათში ხორციელდება ჩვენთვის გაუცნობიერებელი კავშირი სულთან და, ძირითადად, აქ იყრის თავს ჩვენი შინაგანი განცდები.

რაც თვალია სხეულისათვის, ისაა გონება სულისათვის. გონებისაგან მომდინარეობს აზროვნებისა და განსჯის შესაძლებლობა, გულში კი მგრძნობელობითობა ვლინდება. თუმცა, რასაც ადამიანი გრძნობს გულით, იგი გონებასაც მოიცავს.

და ამ დროს უნდა მოხდეს უმნიშვნელოვანესი რამ: გონებისა და გულის გაერთიანება, „გონების ჩასვლა გულში“ და გონების მიერ მისი წარმართვა. ასეთი გული არის გული გონიერი. იგი საშუალებას არ აძლევს უკეთურ ფიქრებს შემოიჭრან და ცოდვად იქცნენ; არამედ ფხიზელი გონებით უკუაგდებს მათ და არ შეიწყნარებს. ამგვარი გული და გონება მიმართულია უფლისაკენ და ჩვენი სწორი სულიერი ცხოვრების ცენტრი ხდება.

ᲬᲛ. ᲛᲐᲛᲔᲑᲘ ᲬᲔᲠᲔᲜ: ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲝᲗᲮᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲡᲣᲚᲡ: ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲣᲠᲘᲡᲮᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲭᲘᲠᲗᲐ ᲓᲐᲗᲛᲔᲜᲐ, ᲬᲧᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲝᲗᲮᲘ ᲠᲐᲛ ᲕᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ: ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲘᲡ ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘ, ᲨᲣᲠᲘ, ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲚᲝᲪᲕᲘᲗ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗ.

გულის სიწმინდის მოპოვებას კი ხანგრძლივი სულიერი შრომა სჭირდება. ამის მიღწევა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ადამიანის წრფელი და განწმენდილი გული არის ის ადგილი, სადაც ღმერთი ივანებს.

ინებოს მაცხოვარმა, როგორც სრულიად საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, ეს სინერგია, ეს შეხვედრა ყველას გულში განხორციელდეს.

უფალს ჩვენი მონანული და მადლიერი გული უნდა შევაგებოთ და გავახაროთ. საკუთარ ცოდვათა შემცნობი ადამიანი ფრიად სათნოა ღვთისთვის.

ძველ „პატერიკში“ წერია:

ერთხელ შეწუხებულმა ხალხმა ღმერთს მიმართა:

– რატომ არის ამდენი მკვლელობა, გაუტანლობა, სიძულვილი, უბედურება?

– თქვენ ეს არ მოგწონთ? - ჰკითხა უფალმა.

– რა თქმა უნდა, არა, – იყო პასუხი.

და მიუგო: – მაშ, რატომ ომობთ, რატომ ბოროტმოქმედებთ, განიკითხავთ და მძლავრობთ ერთმანეთზე?!

მართლაც,ეს ყველაფერი ხომ ჩვენი ნების, ჩვენი არჩევნის შედეგია.

რაოდენ უკეთესი იქნებოდა, ყველას ის გვეკეთებინა, რაც მოსაწონია ღვთისთვის!

„სიცოცხლე ან სიკვდილი,“ – ამ არჩევანის წინაშე აღმოჩნდა დღეს ადამის მთელი მოდგმა. ასეთი მასშტაბური და ყოვლისმომცველი ნაბიჯი მანამდე არ გვქონია გადასადგმელი.

* * *

ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ მოვლინებით თითოეული ჩვენგანის დაბადებას უდიდესი აზრი მიენიჭა, რადგან ამ დღიდან ყოველ ადამიანს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, მიეცა შესაძლებლობა, თავისი დაბადების დღე უკვდავყოს და იესოს ამქვეყნად შობა აქციოს ცათა სასუფეველში, მარადიულ ნეტარებაში, თავისი შობის განმსაზღვრელად.

ამიტომაცაა ეს დღესასწაული ჩვენთვის დიდი ზეიმის, სიხარულისა და მადლიერების მომნიჭებელი.

ჩვენს მიწიერ ყოფაში დაცემაც და წამოდგომაც, წარმატებაც და წარუმტებელობაც მონაცვლობენ.

თუ დიდი ტკივილი ან განსაცდელი შეგხვდათ, ადამიანთა ბოროტების, მტრობის, შურის, ღალატის მსხვერპლნი გახდით, გული არ გაიტეხოთ. მიიღეთ ეს, როგორც თქვენთვის სარგო მწარე, მაგრამ მაკურნებელი წამალი, მიიღეთ, როგორც თქვენგან გასავლელი გზის საჭირო მონაკვეთი, რომელიც აუცილებლად დასრულდება. თუმცა მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თქვენი გული და გონება როგორ უპასუხებს ასეთ გამოწვევებს.

რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს ჩვენი ჯვარი გვაქვს სატარებელი, მაგრამ არის საერთო განსაცდელებიც. მაგალითად, დღეს პანდემიაა ასეთი.

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐᲘᲗᲠᲒᲣᲜᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲩᲐᲙᲔᲢᲕᲘᲗ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ... ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲐᲣᲪᲘᲚᲔᲒᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲝᲤᲐᲠᲙᲕᲔᲗᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲪᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲕᲨᲘᲜᲓᲔᲗ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲒᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲛ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲡᲣᲚᲘ-

ერი სიკვდილის, მარადიული ტანჯვის მსხვერპლნი არ გავხდეთ.

ყოვლადწმინდა სამებას ვავედრებ ჩვენგან წასულ ჩვენს სულიერ შვილებს, რომ შეიწყალოს ისინი და აცხოვნოს.

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მყოფთ, საერთოდ, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია შობის დღესასწაული და ვინც თავს ჩვენი ეკლესიის შვილად მიიჩნევს, – გთხოვთ, **იცხოვრეთ ერთმანეთისა და სამშობლოსათვის.**

ჩვენ, ღვთის განგებით, ერთ სივრცეში, ერთ პერიოდში იმიტომ მოგვიწია ყოფნა, რომ ამ მოცემულობაში უნდა გამოვიცადოთ, უნდა შევძლოთ ღვთის სადიდებლად „ურთიერთას სიმძიმე ვიტვირთოთ და ესრეთ აღვასრულოთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალატ. 6.2).

ჩვენი დამოკიდებულება შვილებთან, მშობლებთან, და-ძმებთან, ახლო თუ შორეულ ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან, ნებისმიერ სხვა პიროვნებასთან, ისევე, როგორც ჩვენი დამოკიდებულება სნეულთა, პატიმართა და გაჭირვებულთადმი, პირადი და საქვეყნო საქმისადმი, გარდაცვლილი ახლობლებისა და წინაპრებისადმი, ცხოველებისა და გარემოსადმი ... უდიდესი გამოცდისა და პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს, რადგან სადაც არ უნდა ვიყოთ და ვინც არ უნდა ვიყოთ, ყოველი ნაბიჯი ჩვენი ცხოვრებისა, მნიშვნელოვანია.

ძნელია ასეთ დიდ სივრცეში იმოქმედო და შეცდომები არ დაუშვა. ჩვენი ეგოისტური „მე“ ხომ მუდმივად უძებნის გამართლებას ჩვენს ცოდვებს, არასწორ საქციელს ... ამასთან, საკუთარ თავს ადვილად ვპატიობთ იმას, რაზეც სხვას მკაცრად ვთხოვთ პასუხს. ხშირად კი, საერთოდაც ვერ ვხედავთ ჩვენს ცოდვებს.

უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის გარედან შეხედვა, ჩვენი ქმედებების სხვისი თვალით შეფასება და ობიექტური განსჯა. ეს არის ამოსავალი წერტილი ჩვენი სწორი სულიერი ხედვისთვის. მაშინ უკვე ღვთის შეწევნით, სინანულით, აღსარებითა და ზიარებით ყველაფრის გამოსწორება და კეთილად წარმართება იქნება შესაძლებელი.

თითოეულმა ჩვენგანმა ერთი წლის მანძილზე თუნდაც ერთი არასწორი ჩვევა ან თვისება რომ აღმოვფხვრათ, რამდენად უკეთესი გახდება ცხოვრება! დაისახეთ ეს მიზნად.

* * *

გაუფრთხილდით დროს!

დრო ძალიან ძვირფასია, თუ მისი საშუალებით ცხონებას მოვიპოვებთ, დაკარგულ დროზე დასანანიც არაფერია, თუ იგი წარწყმედის მიზეზად გვექცევა (ჩვენ კი ხშირად სწორედ ფუჭად გატარებული დროით ვხარობთ).

არდავიწყება გვმართებს იმისაც, რომ დროის მოთხოვნილებები, დროის სული ცვალებადია; ხშირად იგი ცრუ იდეალებს გვთავაზობს და ბევრი შეჰყავს შეცდომაში იმის მიუხედავად, რომ ხედავენ, რაც გუშინ სამაგალითოდ ითვლებოდა, მას დღეს დასცინიან და რასაც დღეს აქებენ, ხვალ შეიძლება დაიწუნონ.

სწორად მოიქცევი, თუ შეძლებ, იაზროვნო ისე და აკეთო ის, რაც მარადიული ცხოვრებისთვის იქნება სარგებლის მომტანი.

ამიტომაც, ორიენტირად ღმერთი და მისი ღირებულებები აირჩიე, იგია მხოლოდ უცვალებელი, ზედროული და ჭეშმარიტი. მიემსგავსე ლოტს, რომელიც ყველაზე მძიმე გარემოში, სოდომში, ცხოვრობდა, მაგრამ უფლის მცნებას არ ღალატობდა.

ამას შენც შეძლებ, თუ მუდმივად უფალს დაეყრდნობი და მისი მცნებებით იმოქმედებ. ეკლიანია ეს გზა, მაგრამ თან ახლავს სიხარული განსხვავებული, რომელიც ყველა განსაცდელს, ყველა სირთულეს ადვილად დაგვაძლევინებს, ზოგს შეუმჩნევლადაც, იმის მსგავსად, როგორც ჯანსაღ სხეულში შეუმჩნევლად მიმდინარეობს სხვადასხვა ურთულესი პროცესი.

შენ ხარ მოწოდებული, რათა იყო შემოქმედის თვალშეუდგამი ნათლის თანაზიარი; მთელი სამყარო, როგორც ცოცხალი წიგნი, შენს წინაშეა გადაშლილი და ქადაგებს ყოვლადწმიდა სამების დიდებას. სიყვარულით გვიმზერს ბეთლემს შობილი ყრმა იესო, თავისკენ გვიხმობს და მოგვიწოდებს:

აირჩიე სიცოცხლე, აირჩიე ნეტარი მარადიულობა!

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, ასირიელნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო შვილნო ივერიის ეკლესიისა, – იხარებდით, რამეთუ ღმერთი გამოჩნდა დღეს ხორცით; აქებენ მოგვნი, მწყემსთა თანა განკვირვებულნი, შობასა მისსა ქალწულისაგან და დიდებასა შესწირვენ ანგელოზთა გუნდთა თანა (იოანე მტბევარი).

ჩვენც ანთებული სანთლით კრძალვით მივეახლოთ მას და სიხარულით ღაღადვყოთ:

დიდება ძალსა შენსა, მხსნელო ყოველთაო!

დიდება და მადლობა შენდა, საღმრთოითა მადლითა სოფლისა აღმავსებელო!

დიდება შენდა, სასოებაო ჩვენო, დიდო მღვდელმთავარო, მეუფეო და ღმერთო ჩვენო!

თქვენთვის მარადჟამს სიყვარულით მლოცველი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი

ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ, „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონია

ამ კანონით ჩანაცვლდა ჯერ კიდევ 1994 წლიდან მოქმედი კანონი, რომელსაც, განსაკუთრებით დერეგულაციის ტალღის შედეგად, შინაარსი თითქმის, სრულად გამოცლილი ჰქონდა, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

„ამით, შესრულდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების კიდევ ერთი პუნქტი, ქართული საკორპორაციო კანონმდებლობა სრულად დაუახლოვდა ევროკავშირის სამართალსა და კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგა 2024 წელს ევროკავშირის წევრობის განაცხადისთვის.

გასახარია, რომ მიუხედავად რთული წლისა, პარლამენტმა ამ ისტორიული რეფორმის განხორციელება შეძლო. ამისთვის, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მიხეილ სარჯველაძეს, რომელმაც ჯერ იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ხოლო შარშან პარლამენტის წევრის რანგში, უხელმძღვანელა პროექტის შექმნის პროცესს და ის კანონად აქცია.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მეცნიერს, მოსამართლეს, ადვოკატს, ბიზნესის წარმომადგენელს, იუსტიციის სამინისტროს და საჯარო რეესტრის თანამშრომლებს, რომლებიც როგორც ავტორი, თუ როგორც პროექტის განხილვის დროს კონსულტაციის გამწევი, ჩართული იყვნენ ამ კანონის შექმნაში. ახლა, ჯერი კანონის სწორ დანერგვაშია, რისთვისაც გადამწყვეტია მეცნიერებისგან ბევრი სტატია და წიგნი ამ კანონზე, ხოლო პრაქტიკოსებისგან — თითოეული ნორმის გააზრება და სწორი გამოყენება“, — წერს პაპუაშვილი.

პრობლემა

შვილების ნაცვლად ძაღლებსა და კატებს ვამრავლებთ?

ზუსტად ერთი წლის წინათ, იანვრის თვეში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა ჩემი გულისტკივილით სავსე წერილი სათაურით: **„ერმა თავი უნდა გადაირჩინოს და გამრავლდეს და არა, ძაღლებს გადაჰყვეს!“** ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ წერილში აღძრული პრობლემები მთლიანად დაემთხვა ქრისტიანული რელიგიის საჭეთმპყრობლის, რომის პაპის ახლახან ამ საკითხზე გამოსვლის პათოსს. რომის პაპმა დაადანაშაულა შინაური ცხოველების მოყვარულები ეგოიზმში — **„ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ ადამიანს არ სურს ჰყავდეს ბავშვი, ზოგჯერ მათ ჰყავთ ერთი შვილი, მაგრამ ჰყავთ ძაღლები და კატები, რომლებიც ბავშვის ადგილს იკავებენ“.** ამასთან, მან დაამატა, რომ ხდება ბავშვების ჩანაცვლება შინაური ცხოველებით, რაც შეურაცხყოფს კაცობრიობას და გვიკარგავს ადამიანურობას. ადამიანები უარს ამბობენ დედობასა და მამობის ფასეულობაზე, მათ არ სურთ შექმნან ოჯახი და დაბადონ ბავშვები, რასაც შეიძლება მოჰყვეს ცივილიზაციის, სამყაროს დაღუპვა. ამის შესახებ წერდა ოთხშაბათს, 5 იანვარს „The Guardian“-ი. რომის პაპის გამოსვლის ტექსტი, ოდნავ შემოკლებულად ქართველ ტელემაყურებელს გააცნო ტელევიზია „იმედის“ არხმა 6 იანვარს „ქრონიკის“ 11 საათიან გამოშვებაში.

აღნიშნული პრობლემა მრავალმხრივ საყურადღებოა და შესწავლას მოითხოვს. შობადობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი ისედაც უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებაში მყოფი ჩვენი ქვეყნისთვის ოჯახებში მომრავლებული შინაური ცხოველები ხდება. გარდა ამისა, იცვლება ქართველი ახალგაზრდობის ისედაც შეცვლილი ეროვნული მენტალიტეტი. ჩვენ თავის დროზე, ამ საკითხზე სტატიის მომზადების დროს ჩავატარეთ მცირე მოცულობის სოციოლოგიური გამოკვლევა. ძაღლების პატრონებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ძაღლი მათი ოჯახის წევრია და ისევე უყვართ, როგორც შვილები, ლოგინშიც კი ერთად ვიძინებთო. ეს კი ღვთის გმობაა და მეტი არაფერი. ამასთან, თუ რამე უთხარი შვილიშვილის ტოლა ვაჟებსა და განსაკუთრებით გოგონებს, ამ საკითხზე მაშინვე აგრესიულად შეგეპასუხებათ: **ჩემს უფლებებს არღვევთ, ჩემს თავისუფლების სივრცეში ნუ იჭრებითო** და თან იმუქრება — **თქვენ თავს მიხედეთ, თორემ პოლიციას დავურეკავო.** აი, აქამდე მიგვიყვანა ჭკუანაღრძობი საააკაშვილისა და მისი განათლების მინისტრების ჩატარებულმა განათლების რეფორმებმა. მოკლედ, სწორედ ისეა საქმე, როგორც იონა ვაკელის პიესა „აპრაკუნე ჭიმჭიმელში“, სადაც მთავარი გმირი აპრაკუნე ამბობს: **„პატარა ვიყავი — დიდების მეშინოდა, დიდი გავხდი და პატარების მეშინიაო“.** ამ საკითხის მოგვარებაში დიდი როლი ეკისრება მედიას და განსაკუთრებით ტელევიზიას. ტელევიზია კი სრულიად საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ანზორ თოთაძე,
ტ. 599-409-115

P. S. თუ ვინმეს კიდევ შესტკივა გული ჩვენი ერის გამრავლების ურთულეს პრობლემებზე (განსაკუთრებით სერიოზული ბიზნესის ქართველ თავკაცებს მივმართავ) და აღნიშნულ საკითხზე დემოგრაფიულ-სოციოლოგიურ კვლევას დაგვიფინანსებს, დიდად მადლობელი დავრჩებით.

ა.თ.

დაპირისპირება იუნესკოს სიის გამო

ვინ სპეკულირებს ოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებით (?!)

„ხელისუფლების ძალიან დიდი მცდელობის მიუხედავად, უზნეო მცდელობების მიუხედავად, რომ ლექსოს სიკვდილი დაებრალებინათ ნარკოტიკებისთვის, სიმართლეს დაერქვა თავისი სახელი და ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან, შეიძლება ცოტა გვიან, შეიძლება ძალიან მალე, დადგება დრო, როდესაც სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოუწევთ 5 ივლისის შემსრულებლებს და დამგეგმავებს, რომლებიც სხედან ზევით, ხელისუფლებაში“! — ასე გამოეხმაურა ინგა გრიგოლია იუნესკოს განახლებულ სიას.

იუნესკოს მიერ გამოქვეყნებული სია, რომელიც ასახავს ჟურნალისტების მიმართ ცალკეულ ინციდენტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არ არის ახალი, — აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში. მათი განმარტებით, ეს მონაცემები ამ სიაში ივლისიდან არის.

იხ. 5 გვ.

რა უხარიათ ამ ჩვენს ავადმყოფებს?

„ვაის გავეყარეთო და ვუის შევეყარეთ“ — ძალიან არ მინდა, ასე იყოს ჩვენი ამბავი. პუტინმა მე-20 საუკუნის კაცობრიობის ისტორიაში, სსრკ-ს დაშლა ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფად დაასახელა. მას აღარ აქვს მოტივაცია მე-7 ან მე-10-ედ გახდეს რუსეთის პრეზიდენტი. მას სურს მსოფლიო ენციკლოპედიაში, როგორც ყოფილი საბჭოთა იმპერიის რეინკარნაციის სცენარის ავტორი, დამდგმელი რეჟისორი, პროდიუსერი და მთავარი როლის შემსრულებელი — ისე შევიდეს. და რას უპირისპირებს მას მისი სტრატეგიული მოწინააღმდეგე? ჯინ შარფის დაწერილ სახელმძღვანელოს „ფერადი რევოლუციების“ შესახებ???

ეს ადამიანი სათავისოდ ოსტატურად იყენებს თავისი მტრების ყველა დაშვებულ შეცდომას, ვინაიდან მან ზედმიწევნით შეისწავლა მათი შიგთავსი. დღეს ანტისაბჭოთა დასავლური ძალების ყველაზე დიდი სისუსტე — გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური ვექტორების აღრევაა ერთმანეთში. როგორც კი ამ უკანასკნელის მხარდაჭერა გამოდის პირველ პლანზე (და ჩვენ ამას საქართველოში თითქმის ყოველდღიურად ვაწყდებით დასავლელი არა პოლიტიკოსების, არამედ იდეოლოგების მხრიდან) და ჩრდილავს გეოპოლიტიკურ ინტერესებს, როგორც კი პოლიტიკურ დოქტრინებს ანაცვლებს ჯინ შარფის ბროშურა — აი, მანდ ჩნდება სსრკ-ს ამღორძინებელი და სათავისოდ იყენებს სხვისი ხელით შექმნილ და მის ინტერესებში შემავალ მომგებიან ვითარებას.

ასე მოხდა საქართველოში, სადაც მან ხელთ იგდო სტრატეგიული ობიექტების უმეტესობა, მოახდინა ქვეყნის დიდი ნაწილის ოკუპირება, განალაგა აქ რეგიონში უმსხვილესი საჯარისო ფორმირებები. ასე მოხდა უკრაინაშიც, სადაც მან ყირიმის ანექსიით უპასუხა „ფერად რევოლუციონერებს“, უკრაინის აღმოსავლეთი ფაქტიურად გამოიყენა ცენტრალური ხელისუფლების ზეგავლენისაგან და დიდი ალბათობით უკვე წლევანდელ შემოდგომაზე მანდ საკუთარ მარიონეტ პრეზიდენტსაც დასვამს.

ასე მოხდა ბელარუსშიც, სადაც ვერშემდგარმა სახელმწიფო გადატრიალებამ, მხოლოდ გააძლიერა რუსეთის პოზიციები ამ ქვეყანაში. ასე მოხდება ყაზახეთშიც, აუცილებლად მოხდება — იმიტომ რომ, სხვისი ხელით საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფა და მოწინააღმდეგის იდეოტურ შეცდომებზე თავისი პოზიციების გამყარება, მისი ტაქტიკის უცვლელი ნაწილია ბოლო 20 წლის განმავლობაში. ხოლო სტრატეგია კი, მის საყვარელ გამონათქვამშია ასახული — ყოველ ცბიერ უკანალზე, ხრახნიანი პენისი მოიძებნება.

ყოველივე ამის ფონზე, რა უხარიათ ჩვენს ავადმყოფებს, რომლებსაც დიდი ხანია სახელმწიფოებრიობა სექტანტიზმში აქვთ არეული — მართლა გაუგებარია. ნურსულთან ნაზარბაევი, რომელიც დღეს ცეცხლითა და სისხლით ახშობს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას საკუთარ ქვეყანაში — სააკაშვილის პოლიტიკური გამზრდელი ნათლიმამაა, რომელიც მან ერთი წლის წინ, მსოფლიოს გამოჩენილი ლიდერების ხუთეულშიც კი შეიყვანა. ხოლო დღეს ციხიდან — მის დამხობას გულშემატკივრობს, ამ ყველაფრით კი, მომდევნო ჯერზე, სააკაშვილის კიდევ ერთი აღფრთოვანების ობიექტი — რუსეთის ლიდერი ისარგებლებს და როგორც მინიმუმ, ყაზახეთის შემადგენლობაში ბაიკონურის არსებობასაც დაავიწყებს მსოფლიოს.

ხანდახან სერიოზულად უფიქრდები, ვის ხელშია რეალურად ჩვენი პროდასავლური მისწრაფებების გზამკვლევი — პოლიტიკოსების თუ იდეოლოგების?! პირველ შემთხვევაში, გადარჩენის იმედი ოდნავ მაინც გეძლევა, მაგრამ თუ იმ, მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ჩვენი სტრატეგიული მეკავშირისთვის 21-ე საუკუნის ყველაზე დიდ „გეოპოლიტიკურ კატასტროფად“ — ლონდა თოლორაიას ოფისის რეორგანიზაცია მიაჩნია, აი მაშინ კი ხვდები — რომ გადარჩენის შანსი არა გაქვს. მანამ — სანამ დასავლური გეოპოლიტიკური პრაგმატიზმი და სახელმწიფოებრივ ხედვებზე დაფუძნებული პარტნიორობა არ ჩაანაცვლებს აქ „ჯინშარფისეული“ ბოდვებით მკვებავ საგარეო თუ საშინაო ფანატიკოსებს.

დავით ქართველიშვილი

მედიკამენტების სიძვირის მიზეზები თანდათან აშკარავდება!

მედიკამენტების გაიაფების საკითხზე პრემიერს ძალიან პრინციპული პოზიცია აქვს და როგორც ჩანს, ფარმაცევტული ბიზნესის სასარგებლოდ არაფრის დათმობას არ აპირებს. ირაკლი ღარიბაშვილი თანდათან ასახელებს იმ პრობლემატურ საკითხებს, რის გამოც საქართველო მედიკამენტების სიძვირით გამორჩეულია.

მთავრობის მეთაურის თქმით, არ არსებობს პასუხი დღეს კითხვაზე, რატომ არის შეზღუდული მედიკამენტების იმპორტი თურქეთიდან, სადაც ფარმაცევტული ინდუსტრია მაღალ დონეზეა განვითარებული...

„თურქეთში ძალიან განვითარებულია ფარმაცევტული სფერო, ბიზნესი. უმაღლესი ტექნოლოგიების ფარმაცევტული ქარხნები ააშენეს ბოლო წლებში და ეს ყველა ნორმალური და ცივილიზებული ქვეყნის მიერ არის აღიარებული. თურქეთიდან დღეს რატომღაც აკრძალულია წამლების შემოტანა, იმპორტი. დავსვი კითხვა, რატომ? პასუხი არავის აქვს. როგორც კი ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ეს შეიძლება ძალიან სწრაფი ეფექტი იყოს და მაშინვე შეიძლება გაიაფდეს წამლები. ეს მაგალითისთვის გითხარით.

ბუნებრივია, სხვა ღონისძიებებიც გვაქვს დაგეგმილი და მე ახალს არაფერს ვაკეთებ. თქვენ ახსენეთ, რომ შეიძლება ვერევი ბიზნესში, მაგრამ მთავარი მოტივაცია არის — ხალხი, მოსახლეობა და ჩვენი ქვეყანა და შემდეგ — დანარჩენი სხვა. ეს გზა გაიარა ევროპამ. ჩვენ მივდივართ ევროპისკენ, შესაბამისად, რაც არის აპრობირებული, გამოცდილი და დადასტურებული ევროპაში და ცივილიზებულ სამყაროში, ისე უნდა გავაკეთოთ ჩვენც. ახალი ველოსიპედის გამოგონებას ჩვენ აქ არ ვაპირებთ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა მედიკამენტების ფასების დარეგულირებაზე საკუთარი მოსაზრებები ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლებს გააცნო და მათგანაც საინტერესო მოსაზრებები მოისმინა.

„მედიკამენტების ფასები რომ გაზრდილია, ამაზე ყველა ვთანხმდებით. მე მქონდა აბსოლუტურად ღია და გულწრფელი საუბარი ფარმაცევტული ბიზნესის წარმომადგენლებთან. ბაზრის ყველა მსხვილი მოთამაშე მოვიწვიეთ, მათ ღიად ვესაუბრე, ვუთხარი, რომ ეს არის ჩვენი სურვილი. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო მოსაზრებები მოვისმინე მათგანაც და ახლა, როგორც კი ახალი მინისტრი „შევა ფორმაში“, მაქვს უკვე დაგეგმილი ორი-სამი ისეთი ნაბიჯი, რომელიც პირდაპირ დაარტყამს მედიკამენტების ფასებს. ბაზარს დავარეგულირებთ, კიდევ უფრო გავხსნით, კიდევ უფრო გავამარტივებთ ხარისხიანი მედიკამენტების იმპორტს, რომ მოსახლეობას უფრო ფართო არჩევანი ჰქონდეს, ეს ერთი და მეორე, ნაკლები გადაიხადონ ჯიბიდან“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც გაირკვა, თურქეთიდან წამლების იმპორტი აკრძალული არ არის, მაგრამ სხვა შეზღუდვა მოქმედებს, რაც უფრო ამძიმებს ვითარებას. კომპანიის „გახსოვდეს ჰიპოკრატეს!“ ხელმძღვანელი, მარინა ბერაძე აცხადებს, რომ საქართველოზე იაფი წამლები არა მხოლოდ თურქეთში, არამედ ყველგან არის.

„ჩვენთან ეს პრობლემა ყოველთვის არსებობდა და ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საქართველოში ფარმაციის თემა სრულიად დერეგულირებულია. არ გვაქვს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ გვქონდეს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებები. აჭარაში მცხოვრებნი ძალიან ხშირად გადადიოდნენ თურქეთში, თავიანთთვის და შეიძლება, ახლობლებისთვისაც ყიდულობდნენ წამლებს და გიგანტი ფარმაციის კომპანიებისთვის ეს აღმოჩნდა მიუღებელი, ამიტომ, ბოლო პერიოდში, საზღვარზე ხდებოდა ფასების შედარება და ფასნამატი, რომლითაც აქ იყიდებოდა წამალი, იმის გადახდა უწევდათ მოქალაქეებს. ეს გზაც მოისპო, რომ ადამიანს თურქეთში წამალი იაფად ეყიდა“, — განაცხადა მარინა ბერაძემ და დასძინა, რომ აუცილებელია, სისტემური ცვლილება მოხდეს.

არასტაბილური ვალუტის კურსი, გაზრდილი საოპერაციო ხარჯები და კონკურენცია — ეს ის ძირითადი მიზეზებია, რომელთაც სააფთიაქო ქსელების წარმომადგენლები წლის განმავლობაში მედიკამენტების ფასნამატზე საუბრისას ასახელებენ. როგორც „ბიზნეს მედიას“ სხვადასხვა სააფთიაქო ქსელში განუცხადეს, მომხმარებლისთვის ლოიალური პირობების შესაქმნელად ცდილობენ, რიგ მედიკამენტებზე, ძირითადად კი ქრონიკულ პრეპარატებზე, ფასდაკლებები დააწესონ, თუმცა ფასნამატი მომხმარებლის ბიუჯეტს მაინც მნიშვნელოვნად ეტყობა. „ავერსის“ სააფთიაქო ქსელის ყველაზე მოთხოვნადი მედიკამენტების ნუსხა და მთელი წლის განმავლობაში ფასთა დინამიკა ასეთია:

„დეტრალექსი“ — 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 56,7 ლ, დღეს ღირს 64,2 ლ;

„ნო-შპა“ - 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 17,6 ლ, დღეს ღირს 19,6 ლ;

„კარდიომაგნილი“ — 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 13,9 ლ, დღეს ღირს 14,8 ლ;

„ნიმესილი“ — 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 20,02 ლ, დღეს ღირს 22,2 ლ;

„ტრიპლიქსამი“ — 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 59,29 ლ, დღეს ღირს 69,2 ლ;

„ქსარელტო“ — 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 225 ლ, დღეს ღირს 262,65 ლ;

„ამრადიპინი“ — 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 44,05 ლ, დღეს ღირს 46,75 ლ;

„სიოფორი“ — 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 10,41 ლ, დღეს ღირს 11,55 ლ;

„დიაბეტონი“ — 2021 წლის 1-ელ იანვარს ღირდა 19,06 ლ, დღეს ღირს 22,25 ლ.

რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, 2021 წლის იანვარ-ნოემბერში თურქეთიდან 40,142 მლნ დოლარის ღირებულების დაფასოებული სამკურნალო საშუალებები შემოვიდა, რაც მთლიანი იმპორტის 12%-ს შეადგენს. საერთო ჯამში, წელს 11 თვეში ქვეყანამ 334,321 მლნ დოლარის ღირებულების შეფუთული წამალი იყიდა, ჯამში, 67 ქვეყანაში:

გერმანია — 46,166 მლნ დოლარი, თურქეთი - 40,142 მლნ დოლარი, უნგრეთი — 32,509 მლნ დოლარი, საფრანგეთი — 28,709 მლნ დოლარი, უკრაინა - 18,519 მლნ დოლარი.

ამასთან, წელს 11 თვეში საქართველომ 9,713 მლნ დოლარის ღირებულების დაუფასოებელი სამკურნალო საშუალებები შეიძინა, სულ 19 ქვეყანაში და თურქეთი იმპორტიორების სიაში არ არის.

ბექა დანელია

ჰიბრიდული შტამი სახელად - „დელტაკრონი“

კორონავირუსის ახალი ვარიანტი, რომელიც „დელტასა“ და „ომიკრონის“ ე.წ. ჰიბრიდს წარმოადგენს, კვიპროსზე 25 პაციენტის ანალიზში გამოვლინდა. ამის შესახებ „დოიჩე ველე“ კვიპროსის უნივერსიტეტის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კათედრის თანამშრომლებზე დაყრდნობით იტყობინება.

აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორის, ლეონტიოს კოსტრიკისის თქმით, კორონავირუსის ახალ ვარიანტს 10 ტიპის მუტაცია აქვს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ „ომიკრონში“ იყო გამოვლენილი, მაგრამ მსგავსი „გენეტიკური საფუძველი“ „დელტა“ ვარიანტსაც აქვს. კვიპროსელმა მეცნიერებმა კორონავირუსის ახალ ვარიანტს „დელტაკრონი“ დაარქვეს. 25 ადამიანიდან, რომლებსაც ამ ტიპის კორონავირუსის დიაგნოზი დაუსვეს, 11 კლინიკაში გადაიყვანეს.

პროფესორ კოსტრიკისის თქმით, საუბარი ჯერ ნაადრევია „დელტაკრონის“ ინფექციურობის ხარისხსა და იმაზე, რომ შესაძლოა, მან „ომიკრონი“ ჩაანაცვლოს.

„ᲨᲐᲕᲘ ᲡᲘᲐ“ – ᲔᲨᲛᲐᲙᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ



ᲓᲘᲓᲘ ჯაყჯაყისა და წავალ-არწავალ ოჩნობის მიუხედავად, ძველი 2021 მაინც წავიდა და ახალი, 2022 დადგა. უკვე გამოიკვეთა ოპოზიციისა და მისი ტელეარხების მთავარი სალაპარაკო თემებიც უახლოეს დღეებსა და კვირებში, სანამ გზადაგზა სხვა მოვლენები არ დაგვადგება ყელზე.

მთავარი ის გახლავთ, რომ მესამე პრეზიდენტის „მარტვილობა“ თანდათან კარგავს სიმძაფრეს, თანდათან ფერმკრთალდება და იცვითება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რაც მშვენივრად იცოდნენ მთელი ამ აურზაურის ავტორებმა. განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა თვალნათელი, როცა ხელისუფლებამაც სწორად გათვალა და გორის ჰოსპიტალში თითქოს სამუდამოდ მოკალათებული პატიმარი, რომელმაც, როგორც გაცხადდა, დაასრულა შიმშილობის შემდგომი მკურნალობის კურსი, მშობლიურ რუსთავის მე-12 ციხეში დააბრუნა საახალწლოდ, სხვათა შორის, მოსალოდნელი, ანონსირებული წივილ-კივილისა და მფრინავი საპროტესტო აქციების გარეშე.

ამრიგად, ქვეყანას არ დაებედა ჯაბიჯუხი, თუმცა ენების სარსალი – უხვად. სრულ სიმართლეს თუ ვიტყვით, ეს ენასარსალობა მიხეილ სააკაშვილის ნაშობია. მას უნარი აქვს სახედარი აქლემად აქციოს, ყველაფერი თავის სასარგებლოდ წარმართოს. ასე გვჩრის თვალებში „წამებას“, მისდამი არაადამიანურ მოპყრობას „ქართული ოცნების“ ჯურღმულებში. ეს მომგებიანი თემა ოპოზიციის პროპაგანდისტებმა, ისევე, როგორც თავის დროზე მიშას ორმოცდაათდღიანი, უნიკალური, ჯერარსმენილი, სასიკვდილო შიმშილობა, ერთობ წარმატებით ჩააბეტონეს მიმდევართა მომლოდინე ტვინებში.

ჰოდა ახლა, როცა საყოველთაო „შიმშილობებით“ თბილისის ქუჩებში ქვეითად თუ ავტომობილებით წინდაუკან უაზრო სვლებით, სახელმწიფო დაწესებულებებთან მიხდომებით და მეჩხერი მიტინგებით არაფერი გამოვიდა და ცხადი გახდა, რომ „ხალხის“ ანტისახელისუფლებო მებრძოლი განწყობა თანდათან სულს ღაფავდა, საჭირო გახდა რაღაც ახლის მოძიება, მოიძიეს კიდეც (მიშას ჩაწოდებით): დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის „ქვეყნის მესამე პრეზიდენტის მიმართ არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტს“. დაზარალებული მიშა მზად არის თავად წარსდგეს საგამოძიებო კომისიაზე და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს.

მიშას ამ ახალმა, მოულოდნელმა იდეამ (კარგად გვახსოვს, რომ ის თავად იყო რადიკალიზმის, ბოიკოტის მომხრე: „არავითარი ტოლერანტობა! ყველანი – ციხეში!“) ნაცმოძრაობას ახალი ძალა შემატა და ტირაჟირების მანქანა ამუშავდა. იდეა ფართო ჰორიზონტს მოიაზრებს – საგამოძიებო კომისიით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ჩანაცვლებას. ეს სამსახური გასული წლის ბოლოს გაუქმდა (ხელისუფლება აცხადებს, სინამდვილეში ორ ნაწილად გაიყო და კომპეტენტურობა არ შემცირებიაო), რასაც, სხვათა შორის, როგორც სავარაუდოა, ჩვენი ოპოზიციის გავლენით უმალ უარყოფითი შეფასება მისცა აშშ-ის საელჩომ, არასამართლიანი და არასწორი უწოდა, მმართველმა პარტიამ ძირი გამოუთხარა მთავრობის ანგარიშვალდებულებასო.

არის იდეა, არის მიზანი!

არც მალავენ, რომ თუ ეს ჩანაცვლება შესაძლებელი გახდა, ნაცმოძრაობა პარლამენტში შევა (ხატია დეკანოიძე). საგამოძიებო კომისიის შექმნა სათანადოდ არის გახმაურებული და იგი ხელისუფლებასთან ახალ ბრძოლაში რაინდთა ფარებზე საყოველთაო წარწერა უნდა გახდეს.

მაგრამ: ვის უნდა დასცეს თავზარი ამ „ფარულმა“ წარწერებმა? საქმე ის გახლავთ, რომ „ქართული ოცნება“ სულაც არ არის ამ კომისიის შექმნის წინააღმდეგი. აცხადებს, ასეთი კომისიის შექმნა შეიძლება კარგიც იყოს, რადგან ის მარტივად დაადგენს სააკაშვილის მიმართ არასათანადო მოპყრობის მითიურობასო.

ადვილად შესაძლებელია საპარლამენტო საგამოძიებო კომისია მართლაც შეიქმნას (ნაცმოძრაობა სულ ღერა-ღერა აგროვებს ამ იდეის მომხრეთა სავალდებულო 50 კაცს). იქნებ სწორედ ამ რიცხვის შესავსებად მოიქაჩლა თავი შალვა ნათელაშვილმა, უარი თქვა ბოიკოტზე და პარლამენტში შესვლა გადაწყვიტა, ტელეეკრანზე ვიხილეთ, თუ როგორ ზვერავდა შტირლიცივით პარლამენტის შიდა ეზოს. მაგრამ ის კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ კომისიამ მიხეილ სააკაშვილი კანარის კუნძულებზე მიავლინოს ციხის ხმელი საწოლით ნაგვემი გვერდების დასაამებლად.

ეს არც მიშას სჯერა. მაგრამ მაინც მოითხოვს, ჯუჯღუნებს, ულტიმატუმებს აცხობს. მათგან ერთ-ერთი განსაკუთრებით ყურადსაღებია: „თუ ჩემთან მოსანახულებლად არ შემოუშვებთ დამოუკიდებელ ექიმთა ჯგუფს და არ დაიცავთ ადვოკატებთან ჩემი შეხვედრის კონფიდენციალურობას, მივმართავ პროტესტის უკიდურეს ზომას!“

საშიშად არის ნათქვამი! ოღონდ პატიმარს არ დაუზუსტებია, პროტესტის რა ზომას გულისხმობს. ისევ შიმშილობას? ცოტა არ იყოს, სასაცილო იქნება. პირს ამოიკერავს? თქვენ წარმოგიდგენიათ ჩუმად მყოფი მიშა? გისოსზე ხელს მიიბამს? ქვეყანას დაასვენებს ინსტრუქციების წერისგან... სხვა „უკიდურესი ზომა“ ლეგენდარული კამოს გმირული დიეტაა და თუ ამას აღასრულებს, მართლა გარეთ გასაშვებია!

მიშამ ციხეში კიდევ ერთი საბედისწერო სტრატეგია დაამუშავა – „შავი სია“. ეს იქნება კორუფციონერთა და ადამიანის უფლებების დამრღვევთა ნუსხა. მასში შევლენ აგრეთვე მოსამართლეები და პროკურორები; ადამიანები, „ვინც იარაღი ჩაუდო არჩევნების პერიოდში“; ყოფილი პოლიციელები; ვინც მოიპარა დიდი რაოდენობით საბიუჯეტო ფული; ვინც გაყალბებით შეკერა კარტოგრაფების საქმე; „ვინც მონაწილეობა მიიღო ჩემს მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში. ამ ადამიანებს ქუჩაში უნდა ცნობდნენ და მათ მიმართ შესაბამისი რეაგირება ჰქონდეთ, როგორც ქვეყნის დამაქცევრებსა და თითოეული ქართველის კეთილდღეობის მტრებზე. უნდა შეიქმნას სპეციალური საიტი და უნდა გამოქვეყნდეს საბრალდებო დასკვნა“.

ერთი სიტყვით, მათ ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს. მშიერი ნახო, პური არ მიაწოდო. მწყურვალი ნახო, წყალი არ მიაწოდო. უდაბნოში ნახო, გაზეთი არ მიაწოდო თავზე წასაფარებლად. ჭყაპში ფეხშიშველი ნახო, კალოში და რეზინის ჩექმა არ მიაწოდო. მაღლა ვერ შესწვდე სპილოსა, დაბლა უკბინე რბილოსა...

ესეც შენი დიდი ჰუმანისტი და დემოკრატიის შუქურა, რომელიც თავისუფალ დროს შერიგებასა და თანხმობაზეც უბნობს ხოლმე! მე მაგალითად სულაც არ გამკვირვებია ამ კაცის ასეთი გარდასახვა. როგორც ჩანს, ეს მისი ბუნებრივი მდგომარეობაა და არა სამიტინგო. ღმერთმა არ ქნას, ის და მისი თანამოაზრე კანიბალები კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ხომ წარმოგიდგენიათ რა დღეს დააწევენ ქვეყანას!..

აი, ასეთ ღვწაშია მესამე პრეზიდენტი მე-12 ციხეში.

საპატიო მიშისტმა კობა ნაყოფიამ ამბავი გამოიტანა, მიშას პრაქტიკულად არ სძინავს, 24 საათი მუშაობსო.

ვაითუ სულ „შავ სიებზე“ მუშაობს! აქ ნაკლებად დაგამშვიდებს ცნობა, ეს კაცი ახლა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამას წერს და კონსულტანტად რომან გოცირიძე იხმოო. მადლობა ღმერთს, რომანი ასე თუ ისე დამჯდარი კაცია და პროგრამაში მოსახლეობის შიმშილით გაწყვეტის მიზანდასახულობას არ ჩაადებინებს.

ოღონდ, სულ ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაცია ძალზე შემაშფოთებელია: შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი „მიშას სექტორი“, რომელმაც 8 იანვარს ქეყნის მასშტაბით დააფუძნა „პატრიოტული ადამიანების გაერთიანება“, თბილისში კი – „დაუმორჩილებლობის ჯგუფები“. მასში ეპატიჟებიან ყველას, „ვისაც კანონიერი ქმედების ფარგლებში რეჟიმის დამხობის სურვილი აქვს“, იმუქრებიან „სირცხვილის დერეფნებით“ და ყველა უწყებასთან მისვლით (მიხდომით – ა.ა.).

ერიჰაა! აი, ეს არის კამოს სადილობა! ეს მიშასეული, ნანატრი, აქამდე ვერა და ვერმიღწეული რევოლუციის, ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის „აპრილის თეზისებია“, რაგინდ „კანონიერი ქმედების ფარგლებშიაო“, იძახო!

კანონიერი ქმედებით ხელისუფლების დამხობა არ ხდება, მისი შეცვლა მხოლოდ არჩევნებითაა კანონიერი!

ᲐᲚᲔᲥᲡᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠ ᲚᲔᲥᲡᲝ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲕᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ (?!)

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

„თუმცა, თუ კარგად დააკვირდებით სიას, იქ არის მითითებული, რომ ეს არის ახალი ინციდენტი, რაც არის იმის ინდიკაცია, რომ იუნესკო დამატებით ელოდება აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიების შედეგებს. ამის მიხედვით სიაში ფორმულირება, მომხდართან დაკავშირებით, ანუ ინდიკაცია შეიცვლება. შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოთხოვილი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან აღნიშნული ინციდენტის საგამოძიებო დასკვნის მასალები, როგორც კი მივიღებთ, ეს მასალები გადაეგზავნება იუნესკოს, რომლის შემდგომაც იუნესკოს მხრიდან მოხდება ამ მონაცემების განახლება“, – განაცხადა საგარეო უწყების წარმომადგენელმა მარი ნარჩემაშვილმა.

იუნესკო არ არის საგამოძიებო ორგანო და დასკვნებს არ აკეთებს, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც UNESCO-ს მიერ მსოფლიოში მოკლული ჟურნალისტების სიაში „ტვ პირველის“ ოპერატორის ლექსო ლაშქარავას შეყვანის საკითხს გამოეხმაურა. პაპუაშვილის თქმით, იუნესკოს საქართველოს მთავრობასთან აქვს შეკითხვა გაგზავნილი, რა ვითარებაში გარდაიცვალა ლექსო ლაშქარავა. მისივე თქმით, იუნესკოს სიაში ლაშქარავას გარდაცვალების თარიღად 11 ივლისის ნაცვლად 5 ივლისი შეცდომითაა ჩაწერილი.

„არასწორი ინფორმაციის შედეგი იყო ეს. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი იყო, არ ვიცი, რატომ გამოგრჩათ, 5 ივლისს კი არ გარდაცვლილა ლაშქარავა, როგორც იქ წერია, არამედ 11 ივლისს და ესეც მიუთითებს, რომ შეცდომაა და არასწორი ინტერპრეტაცია გაკეთდა. არავის მისცეთ ინტერპრეტაციის საშუალება, ის რაც მოხდა, არის ტრაგედია, მიუღებელია ძალადობა, თუმცა გარდაცვალება რომ მიაწეროთ“ ეს არასწორია და გამოძიებამაც ამას პასუხი გასცა“, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

„ისტორიას რომ არ ჩაეწერა, ძალიან კარგად ვიცი, რაც იყო მიზეზი. დაუმტვრიეს ძვლები და ადამიანს არ ჰგავდა. კარგად ვიცი როგორც მოკვდა, რა ნარკოტიკი, მე სულელი ხო არ ვიყავი“, – განაცხადა ლექსო ლაშქარავას დედამ თინათინ კახიძემ...

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲔᲯᲐᲫᲔ: ᲚᲔᲥᲡᲝ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲕᲐᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ ᲰᲔᲠᲝᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲘᲜᲤᲝᲥᲡᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ რა მთლიანად ლაბორატორიული კვლევისა და სხვა მონაცემები, მივედი საბოლოო დასკვნამდე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ლექსო ლაშქარავას სიკვდილის მიზეზია ჰეროინის მოხმარებით განპირობებული ორგანიზმის ზოგადი ინტოქსიკაცია, – ამის შესახებ დამოუკიდებელმა ექსპერტმა, ალექსანდრე გეჯაძემ განაცხადა.



ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების საქმეზე ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე პირველი კომენტარი, დამოუკიდებელმა ექსპერტმა ალექსანდრე გეჯაძემ გააკეთა. ის დასკვნას ეთანხმება და დოკუმენტზე მისი ხელმოწერაც არის.

რაში დავხარჯავთ 2022 წლის ბიუჯეტის ფულს?

2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 19,171 მილიარდი ლარი უნდა დაიხარჯოს, რაც წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით, დაახლოებით 330 მილიონით ნაკლებია. ბიუჯეტის შემცირებას მთავრობა პანდემიის დასრულების მოლოდინით ხსნის. სამაგიეროდ, მთავრობა 332 მილიონი ლარით გაზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს, რაც მეტი ბიუროკრატიული ხარჯის გაწევას ნიშნავს. მეტი თანხა მოხმარდება სახელმწიფო უწყებაში შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებას, სამივლინებო და წარმომადგენლობით ხარჯებს, ავტოპარკის შენახვა-განახლებას. საჯარო სექტორში დასაქმებულებს ხელფასის 10%-ით გაეზარდათ.

ვინ დახარჯავს ყველაზე მეტ ფულს?!

პანდემიის მართვასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების მიუხედავად, ყველაზე მეტს ბიუჯეტიდან მაინც **ჯანდაცვის სამინისტრო** მიიღებს – 6,027 მილიარდ ლარს. აქედან, 500 მილიონი ლარი COVID-19-ის მართვასთან დაკავშირებული ხარჯი იქნება.

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს **კოვიდპაციენტების მკურნალობაზე გამოყოფილი თანხის განახევრება არარეალურად მიაჩნია. ორგანიზაციის შეფასებით, ვაქცინაციის ტემპის გათვალისწინებით, ამ მიმართულებით ასობით მილიონი ლარით მეტი გახდება საჭირო.**

ჯანდაცვის უწყებისთვის გამოყოფილი თანხის 75%-ზე მეტი (4,553 მილიარდი ლარი) სოციალური პროგრამებისთვის გამოიყო. ამ თანხაში შედის გაზრდილი პენსიებისთვის საჭირო თანხებიც: 70 წლამდე პენსიონერები იანვრიდან 20 ლარით მეტს – 260 ლარს მიიღებენ, 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 25 ლარით და 300 ლარი გახდება. სოციალური დახმარება შშმ პირებს და ვეტერანებსაც გაეზრდებათ.

ყველაზე მეტად გაიზრდება 3 უწყების – **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს** ბიუჯეტი: რეკორდული იქნება **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს** ბიუჯეტი, რომელიც 2022 წელს 2 895 მილიარდ ლარამდე იზრდება. თანხის დიდი ნაწილი საგზაო ინფრასტრუქტურისთვის, მათ შორის, ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობისთვის უნდა დაიხარჯოს. 2022 წელს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის 50 კმ შევა ექსპლუატაციაში, რამაც გადაადგილების დრო 20 წუთით უნდა შეამციროს.

113 მილიონი ლარით მეტ დაფინანსებას მიიღებს **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,** რაც უმეტესად ხელფასების ზრდას მოხმარდება. 100 ლარით იზრდება საჯარო სკოლებში სტატუსის მქონე მასწავლებელთა დანამატი და მანდატურების ხელფასები. ასევე, 100 ლარით მოიმატებს საბავშვო ბაღების პერსონალის ხელფასები.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი 932 მილიონი ლარი ხდება, რაც წინა წელთან შედარებით, 290 მილიონით მეტია. თანხა უნდა მოხმარდეს მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამებს; მთის კურორტების განვითარებას, მათ შორის, 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და **ჰაწვალის** ახალი საბაგიროს მშენებლობას; ინტერნეტიზაციის (**Log-in Georgia**) პროექტისთვის 34 მილიონი ლარია გამოყოფილი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 73,6 მილიონ ლარამდე დაიხარჯება მოსახლეობის გაზიფიცირებისთვის.

თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 1,002 მილიარდ ლარს შეადგენს. ბიუჯეტის ზრდა თავდაცვის უწყებას წარმოქმნილი დეფიციტის დასაფარად სჭირდება, თუმცა, უცნობია, კონკრეტულად რა დეფიციტზეა საუბარი. უწყება 47 მილიონით მეტს დახარჯავს პერსონალის ხელფასებზე – სულ 477 მილიონ ლარს.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, **ერთიანი აგროპროექტის** ფარგლებში, გამოყოფილია 262 მილიონი ლარი. ამ თანხაში შედის **შეღავათიანი** აგროსესხის პროცენტის სუბსიდირების 121 მილიონი ლარი. დაფინანსდება სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის სხვა პროექტებიც. აგროდაზღვევის დაფინანსებისთვის ბიუჯეტში 12 მილიონი ლარია ჩადებული.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო 357,8 მილიონი ლარით ფინანსდება. **შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის** 865 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

რა ზრდის შემოსავლებს?!

2022 წელს ბიუჯეტში მთავრობა 19,362 მილიარდი ლარის შემოსავალს გეგმავს. ჯამში 132 მილიონით უნდა გაიზარდოს საშემოსავლო, აქციზის, მოგების, დღგ-სა და სხვა გადასახადის სახით მობილიზებული თანხები და 13,4 მილიარდ ლარს უნდა მიაღწიოს. გადასახადებთან ერთად, ბიუჯეტს საგარეო და საშინაო ვალები და გრანტები შეავსებს.

3ვ-მილიარდიანი ვალი?!

მთავრობა 3 მილიარდამდე ლარის ახალ საგარეო ვალს აიღებს, ამას 1.3 მილიარდი ლარის საშინაო ვალი დაემატება, რასაც მთავრობა სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მოიზიდავს. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მცირე საინვესტიციო პროექტებისთვის საგარეო ვალს აღარ აიღებენ და მათ ქვეყნის ბიუჯეტიდან დააფინანსებენ. სულ 2022 წლისთვის სახელმწიფო ვალი 33.1 მილიარდ ლარს მიაღწევს, რაც მშპ-ის 51.1%-ს შეადგენს. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს შეფასებით, ქვეყნის ფინანსური მდგრადობისთვის ვალის კიდევ უფრო შემცირებაა საჭირო, რადგან პანდემიის პირობებში მაკროეკონომიკური შოკის გამეორების ალბათობა მაღალია და ვალი, შესაძლოა, 60%-იან ზღვარს გადასცდეს.

რამდენით გაიზრდება ეკონომიკა?!

მთავრობის პროგნოზით, ეკონომიკა 2022 წელს 6%-ით გაიზრდება და ქვეყანაში სულ 65 მილიარდი ლარის მთლიანი შიდა პროდუქტი შეიქმნება. ბიუჯეტის დეფიციტი კი 4.4%-მდე შემცირდება. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო მიიჩნევს, რომ ვაქცინაციის დაბალი ტემპიდან გამომდინარე, 2022 წელს პროგნოზირებული ეკონომიკური 6%-ით ზრდა საკმაოდ ოპტიმისტურია. თუ ეკონომიკა ასეთ ზრდას ვერ მიაღწევს, ბიუჯეტის დეფიციტი გაიზრდება. 2022 წლისთვის დოლარის მიმართ ლარის საორიენტაციო გაცვლით კურსად 3.12 არის აღებული, ხოლო წლიური ინფლაციის მოსალოდნელი დონე 2.5%-ია.

როგორ უნდა ანანილებდნენ ბიუჯეტს?!

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნები, რომელთა მთავრობებიც იმდენად დიდ ვალებს იღებენ, რომ მათ დაფარვას შემოსავლები აღარ ჰყოფნის, ნაკლებად ვითარდებიან. გაზრდილი სახელმწიფო ვალის მოცულობა უარყოფითად აისახება როგორც ეკონომიკის ზრდაზე, ასევე ადამიანების ცხოვრების ხარისხზე.

ასეთი საბიუჯეტო პოლიტიკა მცირე ეკონომიკის ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, შეიძლება კრიზისული შედეგის მომტანიც აღმოჩნდეს. ასევე, ქვეყნის ბიუჯეტი სიღარიბის დაძლევაზე უნდა იყოს მიმართული, რაც ძირეული რეფორმების განხორციელების გარეშე არ გამოდის. ბიუჯეტი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ქვეყანაში ფასების სტაბილურობისა და ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის შენარჩუნება მოხერხდეს. ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3%-ს, ხოლო სახელმწიფო ვალი მშპ-ის 60%-ზე მეტი არ უნდა იყო!..

ისრაელის სოფლის მეურნეობა არახელსაყრელი პირობების წინააღმდეგ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის წარმატებული ისტორიაა. არადა, ქვეყნის კლიმატი და წყლის ნაკლებობა ამ მიღწევას შეუძლებლად წარმოაჩენს.

როდესაც საქართველოს და ისრაელს ადარებ, მიღწევები უფრო დასაფასებელი ხდება. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საქართველოს თითქოს ყველაფერი აქვს, თუმცა, შედეგი განსხვავებულია.

მინა-წყლით სამჯერ პატარა ისრაელი 25-ჯერ გვჯობნის!!!

ისრაელი vs საქართველო

ისრაელი საქართველოზე 3-ჯერ პატარაა და 25-ჯერ დიდი ეკონომიკა აქვს. ქვეყანაში 9.291 მილიონი ადამიანი ცხოვრობს – 2,5-ჯერ მეტი საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით.

2020 წლის მონაცემებით მშპ 1 სულზე საქართველოში 44 256 იყო, ისრაელში – 443.2 ათასი, ანუ ამ ქვეყნის ეკონომიკა 4402 მილიარდს აღწევდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მშპ-ში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილი ისრაელში 1.15%-ია, საქართველოში – 8.3%.

სოფლის მეურნეობის, სატყეო და თევზის მეურნეობის კონტრიბუცია ისრაელის მშპ-ში $4.7 მილიარდია, საქართველოში – 41.1 მილიარდი.

2020 წლის მონაცემებით, საქართველოში ამ სექტორში 247 300 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც მთლიანი დასაქმებულების 19.9%-ია. შედარებისთვის, ისრაელში აგროსექტორზე დასაქმებულთა მხოლოდ 0.9% მოდის.

ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაზრდილია. 2020 წელს საქართველოს ბიუჯეტიდან გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე 497 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, ბიუჯეტის ასიგნებების 3%. ეს თანხა იხარჯება როგორც გარემოზე, ასევე სოფლის მეურნეობის პროექტებზე. გაზრდილი დაფინანსების ფონზე სექტორში ზრდასაც ვხედავთ.

OECD-ის მონაცემებით კი, ისრაელში სოფლის მეურნეობის მთლიანი მხარდაჭერა (TSE) სტაბილურად მშპ-ის 0.4%-ზეა. საქართველოსგან განსხვავებით, ისრაელს აქვს რეგულაციები სოფლის მეურნეობის სექტორში შიდა ფასების მხარდაჭერისა და გარკვეულ პროდუქციაზე (რძე, ფრინველის ხორცი, ხილის და ბოსტნეულის ნაწილი) იმპორტის შეზღუდვის კუთხით.

ისრაელში მთავარი გამოწვევა წყლის ნაკლებობაა. წყლის მთავარი არტერია მდინარე იორდანე, კინერეთის ტბის მთავარი შემავსებელიცაა. შედარებისთვის, საქართველოში 25 ათასზე მეტი მდინარეა. პარადოქსია, მაგრამ წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი ისრაელს მეტი აქვს, ვიდრე საქართველოს.

ისრაელში სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის მხოლოდ 437 ათასი ჰექტარი, ანუ ტერიტორიის 20%-ის გამოყენებაა შესაძლებელი. წყლის რესურსების 80% ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილშია თავმოყრილი, თუმცა, წყალუზრუნველყოფილი ძირითადად სამხრეთია – საირიგაციო წყლით უზრუნველყოფილი მიწების 65% სწორედ ქვეყნის სამხრეთზე მოდის.

- **თუ 1995 წელს ისრაელში 1 ფერმერი 15 ადამიანს კვებავდა, 2010 წელს ეს**

ყველაზე მოთხოვნადი უბნები დედაქალაქში

თბილისში **საცხოვრებელი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვებმა პანდემიამდელ ნიშნულს მნიშვნელოვნად გადააჭარბა — ზრდა 2021 წლის ნოემბერში, 2019 წლის ნოემბერთან შედარებით 34% იყო. ჯამში დედაქალაქში 3700 ტრანზაქცია განხორციელდა.**

TBC კაპიტალის მონაცემებით, ჯამში 2021 წლის იანვარ-ნოემბერში თბილისში 4%-ით მეტი ტრანზაქცია განხორციელდა, ვიდრე 2019 წელს.

რაც შეეხება ფასებს, საშუალო ფასი საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე 2%-ით არის გაზრდილი. რაც შეეხება ქირის ღირებულებას, ის კვლავ ჩამორჩება პანდემიამდელ ნიშნულს, რაც ძირითადად ტურისტების ნაკლებობას ასახავს. კლება ნოემბერში 2019 წლის ნოემბერთან შედარებით 16% იყო. Airbnb-ს ბაზარი კვლავ სანახევროდ არის აღდგენილი.



უბნების მიხედვით, ყველაზე მეტად მოთხოვნა გაზრდილია დიდუბეში — 35%.

გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში თბილისში 4400-ზე მეტი ტრანზაქცია დადასტურდა, რაც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდს 17%-ით აღემატება. ამავე პერიოდში მოთხოვნა ყველაზე მაღალი ახალაშენებულ საცხოვრებელ ფართებზე იყო — მთლიანი ტრანზაქციების 63% სწორედ ახალაშენებულ ბინებზე მოდის. ტრადიციულად, პანდემიამდეც, მოთხოვნა ყველაზე მაღალი ახალაშენებულ ბინებზე იყო და პანდემიამ ეს ვითარება ვერ შეცვალა. თუკი ძველი ბინების შემთხვევაში მოთხოვნა ძირითადად მცირე ზომის საცხოვრებლებზეა, ახალაშენებულის შემთხვევაში მოთხოვნა ყველაზე მეტად საშუალო ზომის ბინებზე დასტურდება.

2021 წლის იანვარ-ნოემბერში მთლიანი ტრანზაქციები უბნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: საბურთალო — 18%; დიდი დიღომი — 15%; გლდანი — 13%; სამგორი — 13%; ისანი — 12%; ნაძალადევი — 8%; დიდუბე — 8%; ვაკე - 6%; კრწანისი — 3%.

ახალაშენებული ბინები ტრადიციულად ყველაზე ძვირი ვაკეში, მთაწმინდაზე და საბურთალოზეა.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი ევროპაში, შედარება საქართველოსთან

2022 წლის **პირველი თებერვლიდან თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის სისტემა იცვლება. დედაქალაქში შემოდის სისტემა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისთვის ერთსაათიანი, ერთდღიანი, ერთკვირიანი, ერთთვიანი, სამთვიანი, ექვსთვიანი და ერთწლიანი ულიმიტო აბონემენტების ამოქმედებას გულისხმობს.**

საზოგადოებაში გაჩნდა ლეგიტიმური კითხვა — გაძვირდა თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა? კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანი არაა, რადგან დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად იყენებს მგზავრი საზოგადოებრივ ტრანსპორტს. თუმცა, მარტივი მათემატიკური დათვლებით, შესაძლებელია ზოგადი სურათის დანახვა. ამისთვის საჭიროა თითოეული აბონემენტი ცალ-ცალკე დაითვალოს.

გაძვირდა თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი?

ახალი **ტარიფების ამოქმედებამდე თუ მგზავრი დღეში მხოლოდ ორჯერ მგზავრობდა ავტობუსით ან მეტროთი, მას მგზავრობა ჯამში 1 ლარი უჯდებოდა. მიკროავტობუსის შემთხვევაში, ჯამში — 1.6 ლარი, ხოლო თუ ერთ გზაზე ორივე ტრანსპორტს იყენებდა — 2.6 ლარი. ულიმიტო 90-წუთიანი აბონემენტის შემთხვევაში, მგზავრს დღეში ორჯერ მგზავრობის შემთხვევაში 2 ლარის გადახდა მოუწევს.**

ერთთვიანი ულიმიტო აბონემენტი 40 ლარი ეღირება. თუ ჩავთვლით, რომ მგზავრი მხოლოდ სამუშაო დღეებში და დღეში მხოლოდ ორჯერ მგზავრობს ავტობუსით ან მეტროთი, ძველი ტარიფით მგზავრობა თვეში საშუალოდ 22 ლარი დაუჯდება. მიკროავტობუსის შემთხვევაში — 35.2 ლარი, ხოლო თუ ერთ გზაზე ორივე ტრანსპორტს იყენებს — 57.2 ლარი.

სამთვიანი ულიმიტო აბონემენტი 100 ლარი ღირს. იმავე პრინციპით, ავტობუსით ან მეტროთი დღეში მხოლოდ ორჯერ მგზავრობის შემთხვევაში, ძველი ტარიფით, 66 ლარი დაუჯდება, მიკროავტობუსით — 105.6 ლარი, ხოლო ორივე ტრანსპორტის შემთხვევაში — 171.6 ლარი. ექვსთვიანი ულიმიტო აბონემენტის ფასი 150 ლარია. თუ მგზავრი დღეში ორჯერ იმგზავრებს მხოლოდ ავტობუსით ან მეტროთი, ძველი ტარიფით მას ჯამში 132 ლარი დაუჯდებოდა, მხოლოდ მიკროავტობუსის შემთხვევაში — 211.2 ლარი, ხოლო დღეში ორჯერ და მხოლოდ ერთ გზაზე ორივე ტრანსპორტის გამოყენების შემთხვევაში — 343.2 ლარი. ერთწლიანი ულიმიტო აბონემენტი 250 ლარი ღირს. იმავე პრინციპით დაანგარიშების შემთხვევაში, მგზავრის წლიური ხარჯი მხოლოდ ავტობუსის ან მეტროს შემთხვევაში 264 ლარია, მხოლოდ მიკროავტობუსით მგზავრობის შემთხვევაში — 422.4 ლარი, ხოლო ორივე ტრანსპორტის გამოყენების შემთხვევაში — 686.4 ლარი.



შეღავათიანი ტარიფით სარგებლობა კვლავაც შეეძლებათ სტუდენტებს, პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს და ა.შ. თუმცა, ყველა სხვას, ვისაც თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა სურს, ახალი სატარიფო სისტემით მოუწევს სარგებლობა. როგორც ჩანს, საშუალოდ, რაც უფრო მეტს მგზავრობს ადამიანი და რაც უფრო ძვირად ღირებულ აბონემენტს იყიდის, მით უფრო მეტს დაზოგავს ახალი ტარიფის ამოქმედებისას. თუმცა, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უმეტესობა ვერ შეძლებს უფრო ძვირად ღირებული აბონემენტების ყიდვას.

ევროპული პრაქტიკა

გერმანიის, **კერძოდ, ბერლინის შემთხვევაში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფები კომპლექსურია. ქალაქი სატრანსპორტო ზონებადაა დაყოფილი, ასევე, არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის კატეგორიები. ყველაზე იაფი და ერთჯერადი სამგზავრო ბილეთი 3 ევრო ღირს. თუმცა, რაც უფრო მეტად იზრდება აბონემენტის ვადა, მით უფრო იაფია თითოეული მგზავრობის ღირებულებაც. ერთთვიანი აბონემენტი, რომელიც სამივე ზონას ფარავს, 107 ევრო ღირს, თუმცა, ბერლინში საშუალო თვიური ხელფასი 3 500-3 900 ევროს ფარგლებშია, საქართველოში კი საქსტატის მიხედვით, 1 400 ლარამდეა. პარიზში ყველაზე იაფი ერთჯერადი სამგზავრო ბილეთი 1.9 ევრო ღირს, ხოლო ერთთვიანი აბონემენტი — 75 ევრო. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია საშუალო ყოველთვიურ ხელფასთან შედარება. იქ საშუალო ხელფასი 3 200 ევრომდეა. ბალტიისპირეთში, კერძოდ ტალინში, ერთთვიანი სამგზავრო აბონემენტი 30 ევრო ღირს, ხოლო ყველაზე იაფი ერთჯერადი ბილეთი — 1.5 ევრო. ტალინში საშუალო თვიური ხელფასი 1 500 ევრომდეა.**

მგზავრობის ყოველთვიური აბონემენტის შეფარდება ყოველთვიურ ხელფასთან მნიშვნელოვანი ინდიკატორია. თბილისისა და ევროპის ქალაქების საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი სატარიფო სისტემები პროცენტულად მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავსია, თუმცა, გასათვალისწინებელია ინფლაციაც, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში ორჯერ ან ექვსჯერ ნაკლებია. ეს ნიშნავს, რომ ბერლინელ, პარიზელ ან ტალინელ მგზავრებს სხვა ხარჯები ყოველთვიურად ნაკლებად უძვირდებათ, ვიდრე თბილისელებს.

საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი სატარიფო სისტემა უფრო ძვირად ღირებული აბონემენტების შეძენისა და ხშირი მგზავრობის შემთხვევაში იაფი იქნება მგზავრისთვის, ვიდრე ძველი სისტემის შემთხვევაში. თუმცა, რადგანაც უმეტესობა ვერ შეძლებს ერთწლიანი ან ექვსთვიანი აბონემენტების ყიდვას, მგზავრობის ღირებულება ნაკლებად ან საერთოდ არ იაფდება.

მაჩვენებელი 100-ს, 2014 წელს კი, 111-ს შეადგენდა.

- **ისრაელში მოსავალს წელიწადში ორ-სამჯერ იღებენ.**
- **ისრაელი რძის წარმოების კუთხით მსოფლიოში ყველაზე მაღალპროდუქტიულობას აჩვენებს — 13 000 ლიტრს წლიურად, ევროპაში არსებული 6 000 ლიტრის საპირისპიროდ.**
- **პომიდვრის მოსავლიანობა 1 ჰა-ზე 300 ტონაა.**
- **მარცვლეულის დანაკარგი 0.5%-ი, მაშინ, როცა მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 20%-ს შეადგენს.**

	ფართობი	გამოსაყენებელი არეალი	წყალუზრუნველყოფილი მინის ფართობი	წილი მშპ-ში
ისრაელი	22 000 კვ2	437 ათასი ჰა/ 20%	162 000 ჰა	1.15%
საქართველო	70 000 კვ2	3 მლნ ჰა / 43.4%	134 050 ჰა	7.3%

წარმატების გასაღები

ისრაელმა **არა მხოლოდ მოახერხა მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ტრანსფორმაციის შექმნა, არამედ გახდა გლობალური ლიდერი სოფლის მეურნეობისა და წყლის მენეჯმენტში.**

თითოეულ განვითარებად ქვეყანას წარმატების მისაღწევად საკუთარი გზა სჭირდება, მაგრამ ისრაელი შესაძლოა, განვითარებადი ქვეყნებისთვის ინსპირაცია იყოს.

გაერთიანებული სამეფოს ყოფილი პრემიერის ტონი ბლერის ინსტიტუტი გლობალური ცვლილებისთვის, ისრაელის ტრანსფორმაციის 5 მთავარ მოვლენას ასახელებს:

პირველი, ეს არის მთავრობის გრძელვადიანი ხედვა სოფლის მეურნეობისა და წყლის რესურსების მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინვესტიციები სოფლის მეურნეობასა და განათლებაში. მაგალითად, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის ადრეულ წლებში ბიუჯეტის 30% სოფლის მეურნეობასა და წყალზე, ასევე 30% განათლებაზე იხარჯებოდა. შეიქმნა მიზანმიმართული და მდგრადი აგროწარმოების პოლიტიკა და სპეციალიზებული საბჭოები, რომელიც ახორციელებდა კონკრეტული ქვესექტორების ხელშეწყობას.

მეორე, ესაა კარგად ორგანიზებული ფერმერთა ორგანიზაციები. ფერმერებს აქვთ კავშირი ასევე კარგად ორგანიზებულ წარმოების რგოლთან, რაც გადამწყვეტია ვაჭრობის გამარტივებისთვის. ეს კავშირი უზრუნველყოფს ფერმერთა კონკურენტუნარიანობას. ფერმერებს აქვთ წვდომა ფინანსებზე, კვლევებსა და საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მესამე არის ბაზარზე ორიენტირებულობა. ბაზარი არის „მეგზური ვარსკვლავი“, როგორც მთავრობის, ასევე ფერმერებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრასა და კოორდინაციაში. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ თავიდანვე პარალელურად განვითარდა როგორც შიდა, ასევე საექსპორტო ბაზარი. ისრაელი საჭირო საკვები პროდუქციის 90%-ზე მეტს თავად აწარმოებს, თუმცა, მნიშვნელოვანია იმპორტიც. მაგალითად, ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოებით თითქმის 100% იკმაყოფილებს მოთხოვნას, თუმცა ფრინველის გამოსაკვებად მარცვლეული იმპორტირებულია.

მეოთხე — ისრაელს აქვს მულტიდისციპლინური და ინოვაციური მიდგომა ფერმერებისა და კერძო სექტორის პრობლემების გადასაჭრელად. ამ მიდგომის გასაღები არის ოქროს სამკუთხედი: მჭიდრო ურთიერთობა მკვლევრებს, მთავრობის მიერ დაქირავებულ სოფლის მეურნეობის მენტორებსა და ფერმერებს შორის. ამას ემატება მძლავრი აგროინდუსტრია, რომელიც აუცილებელია ინოვაციური გადაწყვეტილებების კომერციალიზაციისა და ქვეყნის მასშტაბით მათი ხელმისაწვდომობისთვის.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება ისრაელის წარმატებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. Bloomberg Innovation Index 2021-ის მიხედვით, ისრაელი ინოვაციურ ეკონომიკებს შორის მე-7 ადგილზეა.

დაბოლოს, **მეხუთე** — ისრაელს განვითარების ადრეულ ეტაპებზე საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონდა. მთავრობას შეეძლო დაეხარჯა უცხოეთიდან, დიასპორისგან მიღებული რესურსები ისეთ პროექტებზეც კი, რომელიც აუცილებელი იყო, მაგრამ არაპრაქტიკულად მიიჩნეოდა. ასეთი იყო მაგალითად, 250-კილომეტრიანი წყალსადენის აგება გალილეის ზღვიდან სამხრეთით, ნეგევის უდაბნომდე.

აღსანიშნავია, რომ ისრაელის აგროსასწაულის მთავარი მამოძრავებელი წვეთოვანი მორწყვა, წყლის გაწმენდა და მეორადი გამოყენებაა. ძვეყანა ჩამდინარე წყლების სამ მეოთხედს ასუფთავებს და მიწების 40%-ის სარწყავად ხმარობს.

ქვეყანამ წარმატებით განავითარა ის ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ზღვის წყლის დემინერალიზაციას, მლაშე წყლის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში და ისეთი პროდუქტების განვითარებას, რომლებიც ნაკლებ წყალს საჭიროებს. ქვეყანა ჰაერიდან წყლის ექსტრაჰირებასაც კი ახორციელებს.

წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი განათლებაა. საგანმანათლებლო სკოლების, კოლეჯების, უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტების არსებობა და მათი მაღალი დონე, სპეციალისტებისა და კადრების მაღალკვალიფიციურობა განსაზღვრავს იმას, რომ ისრაელი ახერხებს ყოველწლიურად ნაკლები რესურსით რაოდენობრივად მეტი და ხარისხობრივად მაღალი მოსავალი მიიღოს.

2021 წლის პოლიტიკური ანატომია



წელი ახალი ამბებით გაგვახარებს თუ დაგვაფიქრებს, უნდა თქვენთან ერთად თვალი გადავავლო გასული, 2021 წლის ყველაზე შესამჩნევ მოვლენებს. მნიშვნელოვანს-მეთქი, განგებ არ ვამბობ, რადგან, რა ვიცი, ვისთვის რა იყო მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი. გემახსოვრებათ, 2021 წელი, თითქოს, იმედიანად დაიწყო. კორონავირუსის პანდემიის მეორე ტალღამ კი გადაუარა მსოფლიოს, მაგრამ ახალი ვაქცინების გამოჩენასთან ერთად, გაჩნდა პანდემიის დაძლევის მოლოდინი. სამწუხაროდ, ვირუსმა მუტაცია განიცადა.

გამოჩნდა ახალი შტამები, რომელმაც კვლავ შეუტია ადამიანს. რეკორდულად გაიზარდა ახალ ინფექციების რიცხვი. ბევრ ქვეყანაში ისევ ყველაფერი დახურული იყო და ისევ საგანგებო წესები მოქმედებდა. პირბადე და სადეზინფექციო ხსნარი ჩვენი მუდმივი თანამგზავრი გახდა. ინგლისურ ლექსიკაში გაჩნდა ახალი სიტყვა, რომელიც დღევანდელ რეალობას არაჩვეულებრივი სიზუსტით აღწერს: **new normal** – ახალი ნორმალურობა, ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა ეკონომიკა და მთლიანად საზოგადოება, კრიზისის პირობებს ეგუება, ცხოვრება თითქოს ისევ ნორმალურ კალაპოტშია, მაგრამ, სინამდვილეში, ახალი კანონების მიხედვით იმართება. სამაგიეროდ, კეთდება პროგნოზი, რომ 2022 წელს კოვიდ-19-ი ნამდვილად დაგვანებებს თავს. რაც შეეხება პოლიტ-ანალიტიკას, არსებობს ასეთი მიდგომა, რომ თავად პანდემიას არ შეუცვლია ვითარება საერთაშორისო არენაზე. მან მხოლოდ კატალიზატორის როლი ითამაშა ახალი პროცესებისთვის ბიძგის მიცემაში.

2021 წლის დასაწყისში, ზესახელმწიფოს პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გახდა. მისი ეროვნული პოლიტიკური ლოზუნგია – ამერიკა დაბრუნდა. ტრამპი ამბობდა, ამერიკა უპირველეს ყოვლისაო. შედგა თუ არა ფეხი თეთრ სახლში, ბაიდენმა წინამორბედის ყველა ბრძანებულება ერთი ხელისმოსმით გააუქმა და მოკავშირეებისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას შეუდგა, თუმცა ყველას მაინც ვერ გასწვდა. ერთერთი ასეთი ანტი-ტრამპული ნაბიჯი, კლიმატის შესახებ პარიზის ხელშეკრულებისა და ირანთან ბირთვული შეთანხმების აღდგენა იყო. საერთაშორისო პოლიტიკაში, წლის მთავარი თემაა რუსეთისა და ჩინეთის დაპირისპირება დასავლეთთან.

მაშინაც აღინიშნებოდა დიდ ქვეყნებს შორის მძაფრი მეტოქეობა, და მაშინაც, არავის არ უნდოდა ომის დაწყება, მაგრამ, როგორც გახსოვთ, ერთი პატარა ნაპერწკალი გახდა საკმარისი, დიდი მსოფლიო ხანძარი რომ გაჩენილიყო. კიდევ რამ მიიქცია გასულ წელს ჩვენი ყურადღება ყველაზე მეტად? ნატოს სამხედრო ძალებმა ამერიკის ჯართან ერთად ავღანეთი დატოვა. ოცი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ავღანეთში ნატოს ანტი-ტერორისტული მისია, მაგრამ დიდი არაფერი შეცვლილა: თალიბანი კვლავ ავღანეთის სათავეშია. ეს კიდევ არაფერი! დამაფიქრებელია, როგორ და რა ფორმით დატოვა დასავლეთმა ავღანეთი. ყველაზე დამამცირებელი და შემზარავი სურათი ქაბულის აეროპორტში შეიქმნა. ამერიკის ადმინისტრაციამ და, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტმა ბაიდენმა ვერ გათვალეს და ვერ უზრუნველყვეს ლტოლვილებისა და სამხედრო ძალების უსაფრთხო ევაკუაცია. ამ ამბავმა ამერიკასა და ევროპაში მიგრანტთა დამატებითი კრიზისი გამოიწვია. მექსიკისა და ამერიკის საერთო საზღვარს ათიათასობით ლტოლვილი მიაწყდა. თეთრი სახლი ადასტურებს, რომ წელს ამერიკაში არალეგალურად მილიონ-შვიდასიათასი ადამიანი შევიდა. მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს არის ყველაზე დიდი მაჩვენებელი. მსგავსი მდგომარეობაა ევროპაშიც.

მოსალოდნელია, რომ კონფლიქტები, ეკონომიკური ვარდნა და კლიმატის ცვლილება ამ რიცხვს კიდევ უფრო გაზრდის. გასულ წელს, საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო კლიმატზე მსჯელობას. როგორც ჩანს, მსოფლიო კვლავ მარცხდება კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლაში. წითელი კოდი კაცობრიობისთვის, ასე აღწერა მდგომარეობა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტიერეშმა შარშან გარემოს დაცვაზე გამოქვეყნებულ ანგარიშში. ექსპერტთა აზრით, კაცობრიობა კლიმატის კატასტროფული ცვლილების წინაშე დგას, თუმცა, კონსერვატულად მოაზროვნეებს ნაკლებად ჯერად ასეთი პესიმისტური პროგნოზის.

დეკემბერში, ანგელა მერკელმა თხუთმეტწლიანი მმართველობის შემდეგ გერმანიის ფედერალური კანცლერის თანამდებობა სამუდამოდ დატოვა. ახალ კოალიციურ მთავრობას სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატი ოლაფ შოლცი. არც სკანდალების გარეშე ჩაუვლია 2021-ს. მარტის დასაწყისში, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი სასამართლომ დამნაშავედ სცნო კორუფციასა და მოსამართლის მოსყიდვის მცდელობაში.

საქართველომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშები რეკორდული მაჩვენებლით, რვა მედლით დაასრულა. სახელოვანმე ქართველმა სპორტსმენებმა ორი ოქრო, ხუთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს ქიუდოში, ძალოსნობასა და ჭიდაობაში. საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ქვეყანაა!

* * *

ცნობილი ამერიკული გამოცემა Time-ი, 1927 წლიდან დაწყებული დღემდე, ყოველწლიურად ასახელებს წლის ყველაზე გამოჩენილ ადამიანს, რომლის ფოტო ტრადიციულად ჟურნალის ბოლო ნომრის გარეკანზეა ხოლმე აღბეჭდილი. 2021 წლის პიროვნებად ცნობილი ამერიკელი მილიარდერი, ბიზნესმენი და ნოვატორი ილონ მასკია არჩეული. მისი ქონება 166 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

მასკი ისეთი სახელგანთქმული კომპანიების მფლობელია, როგორიცაა **SpaceX** და **Tesla**. **SpaceX**-ი მსოფლიოში პირველ ადგილზეა კოსმოსში გასაშვები ხომალდების წარმოებით. ამერიკის ეროვნული აერონავტიკისა და კოსმოსის ადმინისტრაცია **NASA** სწორედ მასკის ფირმის შექმნილი ხომალდებით უშვებს ასტრონავტებს, იგივე კოსმონავტებს, კოსმოსში. უფრო ადრე, ილონ მასკმა ფირმა **Tesla** დააარსა, რომელიც ელექტრომანქანებს აწარმოებს. ალბათ, არ არსებობს ადამიანი, ვისაც გაგონილი არ ექნება ილონ მასკის სახელი. თუ კი სადმე, დედამიწის ზურგზე, რაიმე სამეცნიერო-ტექნიკური სიახლე გაჭაჭანდება, ყველგან მისი ხელი ურევია. მას საოცარი გავლენა აქვს მსოფლიოზე და, ვინძლო, იმის იქეთაც, იქნება ეს კლიმატის ცვლილების პრობლემა, უთანასწორობის საკითხი თუ ადამიანის მიერ ახალი ჰორიზონტების დაპყრობა.

კაცს ყველა შეკითხვაზე აქვს პასუხი. ასე დაახასიათა ილონ მასკი **Time**-ის მთავარმა რედაქტორმა. ილონ მასკის გარდა, ჟურნალმა **Time**-მა წლის გმირები, ვაქცინების ავტორები დაასახელა: ვაისმანი, კარიკო, კორბეტი და გრეჰემი. ამ მეცნიერებმა გამოიგონეს ვაქცინის დამზადების ახალი მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა **Pfizer**-ის და **Moderna**-ს ვაქცინები. ნობელის მშვიდობის პრემია კი, რომელიც ერთ-ერთია ნობელის ხუთი პრემიიდან, და უკვე 120 წელია, ეძლევა ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ მშვიდობის განმტკიცების საქმეში, „ნოვაია გაზეტას“ მთავარ რედაქტორს, დიმიტრი მურატოვსა და ფილიპინური წარმოშობის ამერიკელ ჟურნალისტს მარია რესას გადაეცათ. კომიტეტმა აღნიშნა, რომ მათ პრემია ერგოთ აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვისთვის, რაც დემოკრატიისა და მდგრადი მშვიდობის საწინდარია. ამერიკულმა ჟურნალმა **Forbes**-მა მსოფლიოს 100-ი ყველაზე გავლენიანი ქალის რეიტინგი გამოაქვეყნა. ჟურნალმა დაასახელა მთავარი თეზისი, რომელიც ამ სიას უდევს საფუძვლად და ასე ჟღერს: მთავარი არ არის მხოლოდ ფული ან ძალაუფლება. ადამიანმა რაღაც უნდა გააკეთოს თავისი ქონებით, თავისი ხმით ან თავის ხელთ არსებული რაიმე პლატფორმის მეშვეობით. რეიტინგის წლევანდელ სიაში ბიზნესით და მენეჯერული საქმიანობით დაკავებული ქალბატონები ჭარბობენ.

ჩამონათვალში, 100 ქალიდან 40 უმაღლესი დონის მენეჯერია, რომლებიც ფულის რეკორდულ ნაკადს – 3,3 ტრილიონ დოლარს აკონტროლებენ. პირველად 11 წლის განმავლობაში ამ რეიტინგში აღარ ფიგურირებს ანგელა მერკელი, რომელიც 2011 წლიდან ყოველთვის პირველ ადგილს იკავებდა ხოლმე. წლევანდელი სიის პირველი ადგილი წილად ხვდა ამერიკელ ბიზნესლედის, ქველმოქმედსა და მწერალს, სკოტ მაკენზის, ოღონდ, მომღერალ მამაკაც სკოტ მაკენზიში არ აგერიოთ. ფორბსის სიის პირველადგილოსანი სკოტ მაკენზი **Amazon**-ის დამფუძნებლის ჯეფ ბეზოსის ყოფილი ცოლია. რეიტინგში მეორე ადგილი ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს, კამალა ჰარისს ერგო. ის გახდა პირველი ქალი, პირველი შავკანიანი და პირველი აზიელი ამერიკელი, რომელმაც ეს თანამდებობა დაიკავა. მესამე ადგილზეა ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი ქრისტინ ლაგარდი. 2011-19 წლებში ის პირველი ქალი იყო, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდს ედგა სათავეში. **General Motors**-ის აღმასრულებელი დირექტორი, და ამ თანამდებობაზე პირველი ქალი, მერი ბარა, ფორბსის რეიტინგში მეოთხე ადგილზეა. ბილ გეითსის ყოფილი მეუღლე, მელინდა გეითსი, ამერიკელი ბიზნესლედი და ქველმოქმედი, რეიტინგში მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. მელინდა გეითსის თქმით, მისი მთავარი საქმეა, დაეხმაროს ადამიანებს ჯანსაღი და ნაყოფიერი ცხოვრების წარმართვაში. მან თავისი საქმიანობის დიდი ნაწილი ქალთა უფლებების დაცვას მოახმარა.

ახალ შტამებზე, ილონ მასკის მილიარდებსა და ახალ იმედებზე...

* * *

როგორც ვიცით, ევროპაში, ახალი წლის დღეს საშობაო დღესასწაული უსწრებს და ამიტომ სამზადისი დეკემბრის პირველი რიცხვებიდანვე იწყება. ესპანეთში არსებობს ასეთი ტრადიცია: ღამის 12 საათის დადგომისთანავე, ყურძნის 12 მარცვალს ჭამენ, თითო მარცვალზე კი თითო სურვილს ჩაიფიქრებენ ხოლმე და სჯერათ, რომ ყველა ჩანაფიქრი აუსრულდებათ და მათთვის მთელი წელი იღბლიანი იქნება. ასევე, მიირთმევენ ოსპს. რაც უფრო მეტს შეჭამ, მით უფრო მეტი ფული გექნება. თურმე! ისინი ახალი წლის ღამეს ტრადიციულ ნივრიან კერძებზე უარს ამბობენ, რადგან შიშობენ, ნივრის სუნმა ახალი წელი არ დაგვიფრთხოსო. სამაგიეროდ, ქიშმიშით, თხილითა და შოკოლადით შეზავებულ ტკბილეულს ეტანებიან უფრო მეტად. იტალიელები ახალ წელს ხმამაღლა ყვირიან. ხმამაღალი შეძახილებითა და სიმღერით ისინი ძველ წელს აცილებენ.

შუა ღამისას კი, ფანჯრებიდან ძველ ნივთებს ყრიან, იქნება ეს ჭურჭელი თუ ავეჯი. ეს ტრადიცია, სიმართლე გითხრათ, უფრო სოფლებშია შემორჩენილი. საახალწლო ტკბილეულს თაფლითა და თხილით ამზადებენ. ჩვენი გოზინაყივით ყოფილა, მაგრამ ნიგვზით არა! მიღებულია ოსპის წვნიანის ჭამა და მოხარშული კვერცხების დადება საახალწლო სუფრაზე. ესპანელების მსგავსად, იტალიელებიც ყურძენს მიირთმევენ. ყურძნის მარცვლები ოქროს მონეტებს წააგავს და ვინც ბევრს შეჭამს, ბევრ ფულს გააკეთებსო, ასე ჯერათ. იაპონელებისთვის, ახალი წლის დღესასწაული ერთ-ერთი უმთავრესი ზეიმია. ახალი წლის ღამეს, ბუდისტურ ტაძრებში 108-ჯერ რეკავენ უზარმაზარ ზარს. იაპონელები ფიქრობენ, რომ ყველაფერ ცუდსა და უარყოფითს, რაც გასულ წელს მომხდარა, ზარის ხმას ატანენ. ერთ-ერთი უჩვეულო იაპონური საახალწლო ტრადიციაა დღესასწაულის წინ ცოცხის ყიდვა, რითაც სახლში რაც შეიძლება მეტი ბედნიერება უნდა შეხვეტონ. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობა ახალ წელს სიმღერით, ცეკვითა და მეგობრებთან გატარებული მხიარული ვახშმით ზეიმობს, დანიაში ახალი წლის დადგომა მეგობრისთვის დამტვრეული ჭურჭლის კართან დაყრით აღინიშნება. დანიელებს მიაჩნიათ, რომ, ვის ზღურბლზეც მეტი ნამსხვრევი დაგროვდება, სწორედ მას ჰყავს ყველაზე მეტი გულშემატკივარი ამ ცხოვრებაში და მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი ეყოლება.

ახალი წლის შესახვედრად და დროს სატარებლად, რიო დე ჟანეიროში ჩამოსული სტუმრების უმრავლესობა კოპაკაბანას ცნობილ ზღვისპირზე იკრიბებიან, და ზეიმიც იქ შედის ხოლმე ეშხში. ირლანდიაში, ახალი წლის ღამის მოახლოებისას, ხალხი სახლის კარებს აღებს და ნებისმიერ გამვლელს აძლევენ შესაძლებლობას, რომ, სურვილის შემთხვევაში, ესტუმრონ ოჯახს. მათივე ტრადიციის მიხედვით, სტუმარს ჭიქა ღვინით უმასპინძლდებიან და ერთმანეთს ასე ლოცავენ: მშვიდობა იყოს ამ სახლსა და მთელს მსოფლიოში. რაღა ირლანდია და რაღა საქართველო! გარდა ამისა, უძველესი ირლანდიური ტრადიციის მიხედვით, ერთმანეთს ბედნიერების ნიშნად ნახშირის ნატეხს ჩუქნიან ხოლმე. აი, ამას, ქართველები ნაღდად არ ვაკეთებთ! დიდ ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში, ახალი წლის შესახვედრად, ბევრი ადამიანი ინგლისის პარლამენტის შენობისკენ მიეშურება, სადაც დიდი ბრიტანეთის მთავარი საათი, ბიგ ბენი თორმეტჯერ ჩამოჰკრავს და ქვეყანას ახალი წლის დადგომას ამცნობს. შოტლანდიაში, არსებობს რწმენა, რომ ახალი წელი შენ თვითონ უნდა შემოიყვანო სახლში. ამიტომ, შუაღამისას, ზუსტად 12 საათზე, ოჯახის უფროსი სახლის კარებს აღებს, რომ ძველი წელი გაუშვას და ახალი შემოუშვას. საბერძნეთში, ახალი წლის დადგომასთან ერთად, სახლის კედელთან ბროწეულის ნაყოფს ხლეჩენ, და თუ ბროწეულის მარცვლები ეზოში გაიფანტა, ოჯახს დიდი ბედნიერება ელის.

ავსტრიაში, ისევე როგორც შვეიცარიაში, ადამიანები ზეიმობენ წმინდა სილვესტერის დღეს. ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ახალ წელს ბევრი ადამიანი იკრიბება წმინდა სტეფანეს ტაძართან, რადგან, შესრულდება თუ არა ღამის 12 საათი, ტაძრის ზართა სადღესასწაულო რეკვას უსმინონ. ამისთვის, 31 დეკემბერს, ათასობით ადამიანი იყრის თავს ტაძრის მოედანზე. ბევრი კი, ქალაქის რატუშის მოედანზე უერთდება თანამოქალაქეებს, სადაც შტრაუსის ვალსის ფონზე ეგებებიან ახალი წლის დადგომას. მსოფლიოს ყველა ხალხის საახალწლო ტრადიციის მოყოლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომ, აქ შევაჩერებ თხრობას და დაგემშვიდობებით.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

როგორ დასრულდება ყაზახეთში მიმდინარე საპროტესტო აქციები?

ბოლო დღეების განმავლობაში ყაზახეთში ვითარება რამდენჯერმე შეიცვალა. პირველ რიგში, მომიტინგეებმა მთავრობის გადადგომას მიაღწიეს. ამავდროულად, ნურსულთან ნაზარბაევმა მისი ბოლო მნიშვნელოვანი თანამდებობაც დატოვა. 5 იანვრის ღამეს, თითქოს მომიტინგეები აკონტროლებდნენ მთლიანად ქვეყნის დედაქალაქს. თუმცა მოგვიანებით სამხედროები ალმათიში დაბრუნდნენ და „ანტიტერორისტული ოპერაცია“ წამოიწყეს. ოფიციალური მონაცემებით, ქალაქში ათობით მომიტინგე დაიღუპა.

რატომ დაიწყო ეს ყველაფერი და რით შეიძლება დასრულდეს?

იყო თუ არა ყაზახეთში მიმდინარე საპროტესტო აქციები მოულოდნელი?

საპროტესტო აქციები ყაზახეთის ყველა მთავარი აქტორისთვის რომ მოულოდნელი მოვლენა იყო, ამის დასტურია ის, თუ როგორ განვითარდა ვითარება და როგორ რეაგირებდა ქვეყნის ხელისუფლება. რამდენიმე დღის განმავლობაში, ქალაქი ნურსულთანი და თავად ნურსულთან ნაზარბაევიც მიმდინარე მოვლენებზე სერიოზულად არ რეაგირებდა. აშკარად იყო იმედი, რომ საპროტესტო აქციების შეჩერება გაზის ფასების შემცირების დაპირებებით იყო შესაძლებელი. თუმცა აქციები საბოლოოდ ძალიან რევოლუციური შინაარსის მოვლენად იქცა და ეს უკვე ნამდვილად დიდი მოულოდნელობა იყო.

რამდენად მნიშვნელოვანია პროტესტის ეკონომიკური წინაპირობები? გაზის გაძვირება მხოლოდ სიმბოლური მიზეზია თუ მართლა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა ძვეყნის მოსახლეობისთვის?

პროტესტი დასავლეთ ყაზახეთში დაიწყო. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნავთობმომპოვებელი რეგიონი, რომელსაც ყაზახეთის ხაზინაში ძირითადი შემოსავალი შეაქვს, თუმცა სანაცვლოდ განვითარებისთვის საჭირო დოტაციებს არ იღებს. ქვეყნის ამ ნაწილში დასაქმებისა და შრომის უსაფრთხოების კუთხით ძალიან რთული ვითარებაა. ეს არის რეალურად მონორეგიონი, რომელიც ნავთობისა და გაზის ინდუსტრიასთან არის დაკავშირებული.

რამდენად მნიშვნელოვანია გაზის გაძვირება ეკონომიკურად? წარმოიდგინეთ, რომ დილით ბენზინგასამართ სადგურზე მისულს 1 ლიტრი ბენზინის ფასი 60%-ით მომატებული დაგხვდათ. ამიტომაც, ექსპერტების შეფასებით, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ეს მომენტი საპროტესტო აქციების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არ ყოფილიყო.

ექსპერტების შეფასებით, თავიდან ეს არ იყო პოლიტიკური ტრიგერი, მაგრამ შემდეგ პოლიტიკურ მოთხოვნებში აკუმულირდა. პრეტენზიები ყოველთვის არსებობდა, ხელისუფლება ოპოზიციის განეიტრალებას ყოველთვის ახერხებდა. მართალია, აქციის მონაწილეებს შორის ვერ ვხედავთ რომელიმე სერიოზულ პოლიტიკურ ლიდერს და ეს ხელისუფლებისთვის დიდი მიღწევაა, რადგან მას მოლაპარაკება არავისთან უწევს. მთავრობას შეუძლია განაცხადოს: **„ესენი არიან აჯანყებულები, მაროდიორები, ხულიგნები და მათ სასწრაფოდ უნდა მივუჩინოთ ადგილი!“.**

თეორიულად, შეიძლება თუ არა ასეთი ლიდერი გამოჩნდეს? შეუძლია თუ არა რომელიმე ცნობილ ყაზახ პოლიტიკოსსა თუ ბიზნესმენს აქციას შეუერთდეს?

ლიდერები არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად ჩნდებიან. ამიტომაც პოლიტოლოგთა შეფასებით, ისინი კი არ უნდა შეუერთდნენ საპროტესტო აქციას, არამედ სათავეში ჩაუდგნენ და ხალხის მოთხოვნები წამოაყენონ. ჯერჯერობით მხოლოდ ანონიმურ მოთხოვნებს ვხედავთ, მაგრამ ლიდერები არ ჩანან გარდა ერთისა — ეს არის ქვეყნის ყოფილი პრემიერმინისტრი აკეჟან კაჟიგელდინი. ეს უკანასკნელი გასული საუკუნის ბოლოდან იძულებით ემიგრაციაშია. ის იძულებული გახდა, პრემიერ-მინისტრის პოსტიდან 1997 წელს გადამდგარიყო. მან განაცხადა, რომ მზად იყო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიეღო, რის შემდეგაც მას კრიმინალი უწოდეს (ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს) და ქვეყანა დატოვა.

კაჟიგელდინი ახლა ყაზახეთის მოსახლეობას მიმართავს, ზოგიერთ რეგიონში კი მის ქვეყანაში დაბრუნებას ითხოვენ. ის მზად არის, მომიტინგეთა ინტერესების წარმოსადგენად კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები გამოიყენოს. თუმცა ეს ყველაფერი ამ ეტაპზე მხოლოდ პროექტია და როგორც ადგილობრივი ექსპერტები ამბობენ, პროტესტის ნამდვილ ლიდერებს ჯერ ვერ ვხედავთ.

— შეიძლება თუ არა ამ პროტესტს ანტინაზარბაევული ვუწოდოთ?

— უდავოდ შეგვიძლია! — ამბობენ ადგილობრივი ექსპერტები. ამ საპროტესტო აქციებზე ნაზარბაევის სახელი გამუდმებით ისმის. ფრაზა — „წადი, მოხუცო!“ რეფრენად იქცა. ეს არის ძალიან სერიოზული ამბავი, რომელიც მოიტანს აშკარა კრიზისსა და განხეთქილებას ყაზახეთის მმართველ ელიტაში. ქვეყანა ტომობრივი ხასიათით სამ ჟუზად არის დაყოფილი. ყაზახეთის დასავლეთი უმცროს ჟუზს მიეკუთვნება. ეს არის დამკვიდრებული განმარტება, რომლის მიხედვითაც ის ნამდვილად უფროს და შუა ჟუზებთან შედარებით გერის მდგომარეობაშია. აკეჟან კაჟიგელდინის განცხადებით, ნაზარბაევი არის კლანის წარმომადგენელი, რომელიც უფროს ჟუზს მიეკუთვნება. როგორც ქვეყნის ყოფილი პრემიერმინისტრი განმარტავს, მოვლენების შემდგომ განვითარებას დიდწილად განსაზღვრავს ამ ჟუზების ჩვენთვის უხილავ უხუცესთა ქცევა. შესაბამისად, მათი რჩევის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება ნაკლებად სავარაუდოა.

ჩვენ ყველას გვჭირდება გლობალური სტაბილურობა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ყაზახეთში განვითარებულ მოვლენებს სოციალურ ქსელში ეხმაურება.

„ღრმად შეშფოთებული ვარ ყაზახეთში არსებული სიტუაციით. ვგმობ იმ ძალადობას, რაც ვიხილეთ და ვიმედოვნებ, რომ მოხდება სიტუაციის სწრაფი დეესკალაცია. სამოქალაქო პირების უფლებები და უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული. ჩვენ ყველას გვჭირდება გლობალური სტაბილურობა და მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერება“, — წერს პრეზიდენტი Twitter-ზე.

პრეზიდენტ ყასიმ-ჟომარტ თოყაევის ქმედებები, როგორიცაა მთავრობის გადადგომა — დაამშვიდებს თუ არა მომიტინგეებს?

ჯერ არა, ხელისუფლება გადაწყვეტილებების მიღებას აყოვნებს! — ასეთია პოლიტოლოგთა შეფასება. პროტესტის ეკონომიკური საფუძველი თავიდანვე აშკარა იყო, მაგრამ ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ის დაიშლებოდა ან გაზის ფასის შემცირების დაპირებების გაცემით შემცირდებოდა. თუმცა ეს ასე არ მოხდა. ექსპერტები ფიქრობენ, რომ გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელია, მაგრამ - დაგვიანებული. უფრო მეტიც, ეს არ წყვეტს მთავარ პრობლემას — ყაზახეთი მომწიფებულია ეკონომიკური რეფორმებისთვის, რასაც თოყაევი საპრეზიდენტო კამპანიის დროს მოსახლეობას ჰპირდებოდა.

პოლიტოლოგთა შეფასებით, ყაზახეთის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ძალაუფლების ტრანზიტის ვარიანტი მმართველობის ორი ცენტრით — პირველი პრეზიდენტი (ნაზარბაევი) და მეორე პრეზიდენტი (თოყაევი), ამ უკანასკნელს აფერხებს. მას გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა და შესაბამისად, თოყაევი იძულებული იყო ნაზარბაევისა და მისდამი ლოიალური ელიტის ნაწილისთვის ანგარიში გაეწია. სიტუაცია ასე გამოიყურებოდა — არავინ იცოდა სად იყო ძალაუფლების რეალური ცენტრი.

მმართველობის ამ უცნაურმა ფორმამ იჩინა თავი პეტერბურგში, როდესაც დსთ-ს ქვეყნების სამიტზე ყაზახეთის ორი პრეზიდენტი ერთდროულად მივიდა. ვინ არის მათ შორის მთავარი? ეს ვლადიმერ პუტინმა ნათლად აჩვენა. ის ნაზარბაევს შეხვდა, თოყაევს კი მხოლოდ იანვრის დასაწყისში დაჰპირდა ცალკე შეხვედრას. აშკარაა, რომ შეხვედრის დროისა და ადგილის ცვლილება დადგება დღის წესრიგში.

შეუძლია თუ არა თოყაევს პროტესტი თავის სასარგებლოდ შემოაბრუნოს?

დიახ, შეიძლება. თუმცა ამისთვის მას პოლიტიკური გამბედაობა უნდა ჰქონდეს. თითქმის მსგავსი სიტუაცია იყო რუსეთში, როდესაც დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობის დროს მსჯელობდნენ, რომ მას ყველა მიზეზი ჰქონდა პუტინი მთავრობის მეთაურის პოსტიდან გადაეყენებინა. თუმცა მედვედევი აღმოჩნდა იმ პოლიტიკოსთა კატეგორიაში, რომელსაც ზემოთ ხსენებული გამბედაობა არ აქვს. როგორ მოიქცევა თოყაევი, ამას კი დრო გვიჩვენებს.

აქვს თუ არა ყაზახეთში არსებულ სიტუაციას განვითარების რამე აშკარა სცენარი?

აქ აშკარა სცენარებზე საუბარი ნამდვილად არ შეიძლება. ჯერჯერობით ყველაფერი ძალადობაზე დაფუძნებული სცენარისკენ მიდის. ამის მიზეზი არის ის, რომ ხელისუფლებას პოლიტიკური დიალოგისთვის მხარე არ ჰყავს. ჯერჯერობით, ეს მომიტინგეთა დიდი ხარვეზია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ის ფაქტი, რომ აქციის მონაწილეებს ანარქისტებსა და წამქეზებლებს უწოდებენ, ასეთ ბრბოსთან გამკლავების ერთადერთ გზას კი პროტესტის ჩახშობა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაერქმევა. ეს დიდი პრობლემაა ხელისუფლებისთვისაც, რადგან პროტესტი მიიმალება სადმე შორეულ კუთხეში, საიდანაც მოგვიანებით განახლებული ენერგიით იფეთქებს.

ევროკავშირი მზად არის, დაეხმაროს ყაზახეთს...

ყაზახეთში **განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ჟოზეფ ბორელი. მისი თქმით, ევროკავშირი მზად არის, დაეხმაროს ყაზახეთს კრიზისის მშვიდობიან მოგვარებაში. ევროპელი მაღალჩინოსნის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ყაზახეთი ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორია.** ჟოზეფ ბორელი ასევე მკაცრად გმობს ძალადობას და მწუხარებას გამოთქვამს მოქალაქეების დაღუპვის გამო. ბორელი ხაზს უსვამს, რომ გარე ძალებმა პატივის უნდა სცენ ყაზახეთის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

„შეშფოთებულები ვართ იმ ძალადობით, რომელიც მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ წარმოიშვა ყაზახეთში. ვწუხვართ ხალხის დაღუპვის გამო და მკაცრად ვგმობთ ძალადობის ფართოდ გავრცელებულ აქტებს. მნიშვნელოვანია შემდგომი ესკალაციების თავიდან აცილება, ძალადობის ყოველგვარი წაქეზების თავიდან აცილება, თავშეკავება ყოველთვის და თავის არიდება არეულობის სხვა მიზნებისთვის გამოყენებისთვის. ჩვენ მზად ვართ, დახმარება გავუწიოთ კრიზისის მშვიდობიანი მოგვარებისთვის. გარე სამხედრო მხარდაჭერამ პატივი უნდა სცეს ყაზახეთის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, ისევე როგორც ყველა მოქალაქის ფუნდამენტურ უფლებებს.

მოვუწოდებთ ყაზახეთის ხელისუფლებას, შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები ამ რთულ დროს. მათ შორის, პატივი სცენ თავიანთი მოქალაქეების ადამიანის უფლებებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, განსაკუთრებით, შეკრების თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას და მედიის თავისუფლებას“, — ვკითხულობთ განცხადებაში.

რუსებს ყველგან შესვლის საბაბი აქვთ

პატრიარქი კირილი ყაზახეთში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს:

„ყველამ ვიცით, რომ ურთულესი მოვლენები ხდება ჩვენი ოდესღაც ერთიანი უზარმაზარი ქვეყნის ტერიტორიაზე. ხალხი ერთმანეთს მძიმე სამოქალაქო კონფლიქტში შეეჯახა, სისხლი მართლაც იღვრება. და ეს ძალიან ახლოსაა, ეს ხდება ისტორიული რუსეთის ტერიტორიაზე და ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილები ვიყოთ ამ სისხლის ღვრის, ამ შეტაკებების, ამ ადამიანური განუკითხაობის მიმართ.

დღეს კი, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, ვლოცულობ რომ უფალმა წყალობა გაიღოს ყაზახი ხალხის მიმართ, რათა დამყარდეს მშვიდობა“, — თქვა პატრიარქმა.

ოვალური მოზაიკა

საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლობითი დელეგაცია 100 მოედნის პროექტის ფარგლებში კახეთს ეწვია.

კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ,** გამგეობის თავმჯდომარემ ***დავით კაჭარავამ,*** ვიცე-პრეზიდენტებმა **თორნიკე გოგებაშვილმა** და **ნიკა ალავიძემ,** რეგიონული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **გაიოზ მონიავამ,** გამგეობის წევრმა **გიორგი კობახიძემ** და ბავშვთა რაგბის განვითარების მიმართულების ხელმძღვანელმა, ვეტერანმა „ბორჯღალოსანმა" **გია ლაბაძემ** შეხვედრები საგარეჯოში, სიღნაღში, გურჯაანსა და დედოფლისწყაროში გამართეს.

ვიზიტი მაჟორიტარ დეპუტატთან **დავით სონღულაშვილთან** კოორდინირებით და ჩართულობით დაიგეგმა. ის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას ოთხივე მუნიციპალიტეტში ახლდა და ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად სტადიონების მშენებლობის დაგეგმარებაში აქტიურად იყო ჩართული. ოთხივე მუნიციპალიტეტში გათვითცნობიერებული აქვთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და სპორტის, ამ შემთხვევაში რაგბის პოპულარიზაცია.

ვიზიტის ბოლოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედაში ადგილობრივ ბავშვთა გუნდ „მიმინოს" **გიორგი სვანიძესთან** ერთად ეწვია, რომელიც კომპანია „სვანიძის ზეთისხილის" დამფუძნებელია. სვანიძემ ბავშვებს და მწვრთნელებს საჩუქრები გადასცა და პირობა დადო, რომ როდესაც დედოფლისწყაროს კაცთა გუნდი ეყოლება, მისი პარტნიორი გახდება და ყველა პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.

იოსებ ტყემალაძემ რთულ პირობებში რაგბის ერთგულებისთვის მადლობა გადაუხადა „მიმინოს" მწვრთნელებსა და მოთამაშეებს, ასევე გიორგი სვანიძეს, რომელიც პირველი გამოეხმაურა კახეთის რეგიონის ადგილობრივი კლუბების მხარდაჭერის ინიციატივას.

* * *

2022 წლის პირველ მატჩამდე „ბორჯღალოსნებს" დაახლოებით ერთი თვე დარჩათ. რაგბი ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ამავდროულად 2023 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა, 5 თებერვალს ორი თამაშით იხსნება — რუმინეთი რუსეთს ბუქარესტში მასპინძლობს, ესპანეთი კი ნიდერლანდებს მადრიდში დაუხვდება.

ტურის დასკვნით მატჩში 6 თებერვალს „ბორჯღალოსნები" პორტუგალიას „ავჭალაზე" 15 საათზე მიიღებენ და მისი მიჯრით მეათედ დამარცხებით საფრანგეთისკენ მორიგი ნაბიჯის გადადგმას ეცდებიან. გარდა ამისა, ჩვენი გუნდი შარშან მე-13-ედ მოპოვებული ტიტულის დაცვას იწყებს!

პირველი წრის (2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატი) შემდეგ 2023 წლის მსოფლიო თასის ევროპის შესარჩევ ზონას საქართველო 23 ქულით ლიდერობს. 14-14 ქულა აქვთ რუმინეთს და პორტუგალიას, 12-ესპანეთს, 9-რუსეთს და 0-ნიდერლანდებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასის საგზურს რაგბი ევროპის ჩემპიონატის ორი წლის ჯამით (2021 და 2022 წლები) ორი საუკეთესო გუნდი მიიღებს, მესამე კი საკონტინენტთაშორისო ფლეი-ოფში ჩაერთვება.

წელს რაგბი ევროპის ჩემპიონატის ხუთი თამაშიდან სამს „ბორჯღალოსნები" შინ გამართავენ. პორტუგალიის გარდა 27 თებერვალს „დინამო არენაზე" რუსეთს დავუხვდებით, ხოლო 20 მარტს ესპანეთს „ავჭალაზე" მივიღებთ. ორი თამაში გვაქვს სტუმრად — 12 თებერვალს ნიდერლანდებთან ამსტერდამში და 12 მარტს ბუქარესტში რუმინეთთან.

* * *

საქართველოს ნაკრების მორაგბეები ვასილ ლობჟანიძე და ბექა გორგაძე საფრანგეთის ტოპ 14-ის მე-14 ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ.

ორივე მოთამაშე საუკეთესო 15-ეულში ცნობილმა ფრანგულმა გამოცემა midi-olympique-მა შეიყვანა.

„ქართველს „ბრივში" გამორჩეული მატჩი ჰქონდა. მიუხედავად მისი გუნდის მარცხისა, ის თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. კარგი იყო შეტევაშიც, ლელო მიითვალა და დაცვაშიც ცხრა ბოჭვა შეასრულა", — წერს გამოცემა ლობჟანიძის შესახებ, რომელმაც ლელო „პოსთან" მატჩში მიითვალა, რომლის ღირსებას ბექა გორგაძე იცავს და ლელო არ დაუდია, მაგრამ სიმბოლურში ისიც მოხვდა.

„დაცვაში ძალიან კარგი იყო. „პოს" მესამეხაზელმა 11 ბოჭვა შეასრულა და რამდენჯერმე ბურთით ხელშიც ძალიან კარგი იყო. მისი გარჯა ფასდაუდებელი იყო და თავისი გუნდი გამარჯვებამდე მიიყვანა", — წერს გამოცემა გორგაძის შესახებ.

აქვე გეტყვით, რომ „პო" 14 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში 28 ქულით მერვე ადგილზეა, ხოლო „ბრივს" 21 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-12 პოზიციაზეა.

⦿ კორტს მიღმა

კანონი კანონია!

ნოვაკ ჯოკოვიჩის დედამ დიანამ განაცხადა, რომ მისი ვაჟი მწერებით სავსე ოთახში ჰყავთ ჩაკეტილი. როგორც მან აღნიშნა, შვილს ესაუბრა და მას არ აძლევენ საშუალებას, რომ სხვა სასტუმროში გადავიდეს ან სახლი იქირაოს.

„როგორც გინდათ, ისე გამიგეთ — ეს საშინელებაა. ნოვაკს ისე ექცევიან, როგორც პატიმარს. ჭუჭყიან ოთახში ჩაკეტეს. ცოტა ხნის წინ ვესაუბრე, დაძინება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. იმედი მაქვს, რომ ნოვაკი ამ ბრძოლას მოიგებს, რადგან ძლიერია. ჩვენ ვცდილობთ ძლიერები ვიყოთ, რომ წინსვლისთვის ენერგია მივცეთ. ბინძურ, ემიგრანტებისთვის განკუთვნილ სასტუმროშია, რომელიც მწერებითაა სავსე და ამაზრზენი საჭმელი აქვთ. არ მისცეს იმის საშუალება, რომ სხვა სასტუმროში გადასულიყო ან სახლი იქირაოს", — თქვა ნოვაკის დედამ.

თავის მხრივ, ავსტრალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა კარენ ენდრიუმ განაცხადა, რომ ჯოკოვიჩი პატიმრობაში არ არის და ავსტრალიის დატოვება ნებისმიერ დროს შეუძლია: **„ბატონი ნოვაკი ავსტრალიაში დაკავებული არ არის. მას შეუძლია ქვეყანა თავისუფლად დატოვოს, როცა მოინდომებს და სასაზღვრო პოლიცია ამაში დაეხმარება",** — თქვა ენდრიუმ.

შეგახსენებთ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩს აუცრელობის გამო ავსტრალიაში შესვლის უფლება არ მისცეს და იზოლირებული ჰყავთ. მსოფლიოს პირველ ჩოგანს ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაში გამონაკლისის სახით, არავაქცინირებულს სურდა და ტურნირის ორგანიზატორთა მხრიდან ნებართვაც მიიღო, მაგრამ მესაზღვრეებმა ქვეყანაში არ შეუშვეს.

⦿ ჩემპიონთა ლიგა



უკვე ტიტულის დროა

„პარი სენ ჟერმენის" თავდამსხმელმა **კილიან მბაპემ** განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონში გუნდის მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. ფრანგი შემტევის განცხადებით, დადგა დრო „პსჟ-მ" უპრესტიჟულეს ევროტურნირში გაიმარჯვოს.

„ახლა სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის დრო დადგა და მზად უნდა ვიყოთ. რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ნაბიჯი წინ გადავდგათ. ორი წლის წინ ფინალში ვიყავით, შარშან ნახევარფინალში, მაგრამ ახლა გამარჯვება გვინდა და ამის დროა", — თქვა მბაპემ.

შეგახსენებთ, რომ „პარი სენ ჟერმენი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მადრიდის „რეალს" დაუპირისპირდება.

⦿ რინგი

26 მარტსო...

ტაისონ ფიურის პრომოუტერი ფრენკ უორენი ამბობს, რომ WBC-ს ჩემპიონი მორიგ ბრძოლას 26 მარტს გამართავს. ფიური ვალდებულია, საბჭოს სავალდებულო პრეტენდენტს შეხვდეს, ასეთის რანგში კი ამჟამად ბრიტანელი დილიან უაითია. რაც შეეხება შემოსავლის განაწილებას, ფიური 80 პროცენტს მიიღებს.

უორენი ამბობს, რომ შეხვედრის კონტრაქტის პირობები ჯერ ბოლომდე შეთანხმებული არ არის,. თუმცა ვადა გადაწყვეტილია: **„ტაისონს მარტის ბოლოს ბრძოლა სურს. როგორც გუნდი, მეტოქედ სხვა ვარიანტებსაც განვიხილავთ. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ის რინგზე სწორედ 26 მარტს დადგება. ჯერ ვერაფერს ვიტყვი ადგილზე. მაგრამ ვადა უკვე დათქმულია".**

ფიურის ნათქვამი აქვს, რომ თავის პრომოუტერებს დაითხოვს, თუ ისინი მარტში ბრძოლას ვერ დაუნიშნავენ. ბრიტანელმა ბოლოს ოქტომბერში იბრძოლა, ამერიკელი დეონტეი უაილდერი ნოკაუტით დაამარცხა და WBC-ს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

⦿ ბრძენთა თამაში

ასაკი რას მიქვიან...

93 წლის პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე ოთარ შონია შესაშური სპორტული ჟინით განაგრძობს აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ბრძენთა თამაშში და ამჯერად გვთავაზობს 15-სვლიან ეტიუდს, რომელიც კომბინაციური გზით ამოიხსნება.

ალსანიშნავია, რომ ბატონმა ოთარმა 20 დაფაზე გამართულ ერთდროულ სეანსში დაამარცხა თბილისელი მსოფლიოს ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი, როცა ამ უკანასკნელმა ჩვენს დედაქალაქში საკავშირო პირველობა მოიგო (1960 წ.). მისი ეს წარმატება მაშინ ფართოდ აღინიშნა ქართულ და რუსულ პრესაში.

ოთარ შონია

თეთრები იწყებენ და იგებენ

თრ. 1.მფ c2; 2.ეე c5,c7; 3.კ a6; 4.მმ b6,g3;
5.პპ a4,b3,d3,e2,e3,h6.

შვ. 1.მფ g8; 2.ლ f5; 3.ეე a8,f8; 4.კ f7;
5.მმ a7,c8; პპ b4,d5,d7,e7,g4,h7.

ამოხსნა

1.მ g3:f5 მ c8:b6 2.მ f5:e7+ მფ g8-h8
3.პ a4-a5 მ b6-c8 4.კ a6:c8 მ a7:c8
5.ე c7:c8 ე f8:c8 6.ე c5:c8+ ე a8:c8
7.მ e7:c8 პ g4-g3 8.პ a5-a6 პ g3-g2
9.პ a6-a7 პ g2-g1ლ 10.პ a7-a8ლ
/მუქარა 11.მ c8-e7+ და მომდევნო
სვლაზე მამათი/ 10....კ f7-g8
11.მ c8-d6 /მუქარა 12.მ d6-f7×/
11....ლ g1-f1 12.მ d6-f7+ ლ f1:f7
13.ლ a8-a1+ პ d5-d4 14.ლ a1:d4
ლ f7-g7 15.პ h6:g7×

დემურ ღაღანიძე

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიის ნამდვილი წევრის, ღირსეული პიროვნებისა და ჭეშმარიტი მამულიშვილის, პროფესორ **დემურ ღაღანიძის** გარდაცვალებას.

სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის საშუალო სკოლის შემდეგ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და ყოფილი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

სწავლის პარალელურად მუშაობდა თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში, სადაც გაიარა გზა ზეინკლიდან ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნობამდე, შემდგომ გააგრძელა მუშაობა საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსად, ამავე სამინისტროს საპასპორტო და ვიზების რეგისტრაციის სამსახურის უფროსად, მონაწილეობას იღებდა სამაჩაბლოს მოვლენებში, მინიჭებული ჰქონდა პოლიციის პოლკოვნიკის წოდება.

დემურ ღაღანიძე იყო უაღრესად განათლებული და დიდი პროფესიონალი, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა თავისი სამეცნიერო და ლიტერატურული ნაწარმოებების სახით საზოგადოებას. არის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და სისტემატურად გამოდიოდა მოხსენებებით სამეცნიერო შეკრებებზე, მისმა მოხსენებებმა: „გლობალიზაცია და ეროვნული სახელმწიფოებრიობა“, „გლობალიზაციის ინტელექტუალური ინტერპრეტაცია“, „ფარული ხელი - მითი თუ რეალობა“ დიდი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში.

დემურ ღაღანიძე აქტიურად მუშაობდა სტუდენტ ახალგაზრდობასთან, როგორც ფაკულტეტის დეკანი და მაღალი დონის ლექტორი, მიჰყავდა ლექციების კურსი როგორც პროფესორს სამართალმცოდნეობის განხრით.

დემურ ღაღანიძე არჩეული იყო საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, საზოგადოება „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტად, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს წევრად, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორად. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენებით.

ცხოვრების 80 წლის გადასახედიდან დაგვიტოვა დიდი ერისკაცობა, სიკეთე და მეგობრობის მაგალითი.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ!

აკადემიის სახელით:

თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ნარგიზი გვალია, მარინა იზორია, რევაზ გოგოხია, გივი ლობჟანიძე, ბორის სარალიძე, ანზორ აბრალავა, ვლადიმერ გვარჯალაძე, გულთაზ ლაბარტყავა, მამია ჭუმბურიძე, პარმენ ლემონჯავა, ნუგზარ პაიჭაძე, ირაკლი მიქაძე, ვაჟა ჩოჩია, ვაჟა თვალავაძე, გელა ყიფშიანი, სოსო ძელაძე, თამაზ ბაქრაძე, ისიდორე ჯანელიძე, ჯემალ ჯინჯოლავა.

ზაირა გრიგოლია

ოთხმოცდარვა წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი იურისტი და სამართალმცოდნე, წლების მანძილზე სამტრედიის ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მოღვაწე პროფესიონალი, **ზაირა გრიგოლია.**

ზაირა გრიგოლია დაიბადა 1933 წლის 4 დეკემბერს. 1951 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სამტრედიის, რკინიგზის მე-14 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გარკვეული ხანი იმუშავა სასამართლოში მდივნად, ხოლო შემდეგ, ოცდათხუთმეტი წელი სამტრედიის საქალაქო საბჭოს აღმასკოში მდივნის თანამდებობაზე. სწორედ აქ გამოვლინდა მისი, როგორც იურისტისა და სამართალმცოდნის პროფესიული ღირსებანი. მას იცნობდნენ როგორც მიუკერძოებელ, სამართლიან პიროვნებას, შეჭირვებულ მოსახლეობაზე მზრუნველსა და მათი ინტერესების დამცველს. 1987 წელს ზაირა გრიგოლიას ინიციატივით სამტრედიის რაიონის სოფელ ილორში აღდგა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ამის წინაპირობა იყო მოწვეული ყრილობა, ტაძრის დაპროექტება, საორგანიზაციო ჯგუფის შექმნა. ამ ყველაფრის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი თავად გახლდათ. ეროვნული მოძრაობის სათავეებთანაც ერთ-ერთი პირველი იდგა თავის თანაქალაქელებთან ერთად. სწორედ ამ დროს არჩეული იქნა დეპუტატად.

ზაირა გრიგოლიას ხსოვნა დიდხანს იქნება მისი მადლიერი თანამოქალაქეებისა და ახლობლების გულში. იგი ემახსოვრებათ როგორც დიდი პროფესიონალი, ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, მის ღვაწლს დააფასებენ ის ადამიანები, ვისაც შეხებია ქალბატონ ზაირას მზრუნველი ხელი.

იმედია, მისი მადლიერი ხალხი დაასრულებს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას, რომლის აღდგენის ინიციატორიც თავად გახლდათ და სწორედ იქიდან აღავლენენ ლოცვას მისი სპეტაკი სულის სახსენებლად.

გრიგოლიათა საგვარეულო კავშირი

ინგა და მამუკა ვაშაკიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და უსამძიმრებენ ამალია და დემურ დოლიძეებს უსაყვარლესი დის, გია, მამუკა და არსენ ჟღენტებს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ნათელა დოლიძის

გარდაცვალებას. არასოდეს დავივიწყებთ იმ სიყვარულს, ერთგულებასა და გვერდში დგომას, რასაც ათეული წლები ვგრძნობდით ამ უკეთილშობილესი ქალბატონისა და მისი ოჯახის მხრიდან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ბოთლი, რომელმაც ოკეანე გადაცურა

ირლანდიის დასავლეთ სანაპიროზე, წყვილმა იპოვა ბოთლი, რომელშიც წერილი იყო მოთავსებული. აღმოჩნდა, რომ წერილის ავტორი აშშ-ში მცხოვრები გოგოა და ბოთლმა ატლანტის ოკეანის გადაკვეთის შემდეგ მიაღწია ევროპამდე.

ბოთლში, წერილთან ერთად, 42 იდო. ხელნაწერით ირკვევა, რომ მისი ავტორი 11 წლის გოგო, სახელად საშაა. მან ტელეფონის ნომერიც დაწერა და მას, ვინც ბოთლს იპოვიდა, სთხოვა, დაკავშირებოდა. წყვილი ამბობს, რომ აპირებენ, მითითებულ ნომერზე დარეკონ და გოგოს უთხრან, თუ როგორ გადაცურა მისმა ბოთლმა მთელი ოკეანე.

მარადმწვანე დიკაპრიო... ყვითელი ყვავილებით



ბრიტანელმა მეცნიერებმა ქიუს სამეფო ბოტანიკური ბაღებიდან ხეების ახალაღმოჩენილ სახეობას სახელწოდება ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობის, ლეონარდო დიკაპრიოს პატივსაცემად დაარქვეს. ასე სპეციალისტებმა მადლობა გადაუხადეს მსახიობს იმ ძალისხმევისთვის, რომელსაც ის ტროპიკული ტყეების გადასარჩენად იჩენს.

ხე სახელწოდებით Uvariopsis dicaprio მხოლოდ კამერუნის ტყეებში იზრდება, რომლებიც თავისი ბიომრავალფეროვნებით არის ცნობილი. „დიკაპრიო“ მარადმწვანე მცენარეა ყვითელი ყვავილებით, რომლებიც მისი ტანიდან იზრდება. მცენარე ილანგ-ილანგების ოჯახს მიეკუთვნება და უკვე გადაშენების პირასაა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ვაჟა ფშაველას ქ. №48
599 79-76-79;
599 36-00-35

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

14 იანვარს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში დიდი ქართველი სცენოგრაფის, სოლიკო ვირსალაძის (1909-1988) რეტროსპექტული გამოფენა იხსნება. ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

სოლიკო ვირსალაძის გამოფენა ეროვნულ გალერეაში

გამოფენაზე, რომელიც ერთ თვეს გაგრძელდება, წარმოდგენილი იქნება მხატვრის 200-მდე ნამუშევარი და მის სახლ-მუზეუმში არსებული საარქივო ნივთები, ასევე კოსტიუმები კულტურის სამინისტროს სსიპ-ებიდან — ხელოვნების სასახლე — კულტურის ისტორიის მუზეუმი და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“.

სოლიკო ვირსალაძემ შექმნა საკუთარი ხელწერა მე-20 საუკუნის სცენოგრაფიაში. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა იწყება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში. უმნიშვნელოვანესია სოლიკო ვირსალაძის როლი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ეროვნული ანსამბლის ისტორიაში, ვინაიდან „ქართული ნაციონალური ბალეტი“ სუხიშვილებისა და სოლიკო ვირსალაძის „გამოგონებაა“. პროფესიონალ მხატვარს, თეატრალური ხელოვნების, ქორეოგრაფიის, მუსიკის ღრმა მცოდნეს, შეეძლო მუსიკალური განწყობის შესატყვისი ზუსტი მხატვრული ენის შექმნა სცენოგრაფიაში. სოლიკო ვირსალაძის გამორჩეული გემოვნებით, რაფინირებული სიზუსტით შექმნილი თეატრალური სცენოგრაფია მსოფლიო სასცენო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა რიგებშია. აღსანიშნავია, რომ სოლიკო ვირსალაძის ნამუშევრების ბოლო გამოფენა საქართველოში 20 წლის წინ გაიმართა.

კოლხეთი ხარობს, კოლხი ბედნიერია!..

შობის ჯადოსნურ ღამეს, კოლხეთის გულში, დადიანების უმშვენიერეს სასახლეში ჩატარებულმა გრანდიოზულმა და ულამაზესმა მეჯლისმა წარმოუდგენელი სიამოვნება და სიხარული მოგვანიჭა მთელ საქართველოს.

აღტაცებული ვარ ქართული ჯიშის და გენის კიდევ ერთხელ გამობრწყინებით. მახსენდება გრიგოლ რობაქიძის სიტყვები „ქართული გენია როკვით განფენილი“...

ეს განუმეორებელი, საოცრად დახვეწილი სანახაობა მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გავფანტოთ ყოველნაირი ეჭვი, არასასიამოვნო და მიკერძოებული აზრი საქართველოს შესახებ. თუმცა მრავალი ისტორიული და მეცნიერული დოკუმენტი არსებობს ჩვენი, როგორც ძირძველი კულტურული ერის თაობაზე.

ამ მშვენიერი და შთამბეჭდავი სანახაობის ორგანიზატორები და შემოქმედნი უდავოდ იმსახურებენ ჯეროვან დაფასებას.

უღრმესი მადლობა საქართველოს კულტურის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს და მეჯლისის ყველა მონაწილეს ამ ფეერიული, მართლაც ზღაპრული სანახაობისთვის, უდიდესი ადამიანური სიხარულის მონიჭებისთვის.

ბრავო, ქალბატონო თეა!

შობა-ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს, გიხაროდენ!, მრავალჟამიერ!..

ომარ მარგველაშვილი

მერაბ ნიკოლაიშვილი - 84

დაბადების დღეს ვულოცავთ საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო და საქართველოს საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსს მერაბ ნიკოლაიშვილს. თავისი ოთხმოცდაოთხწლიანი ცხოვრების მანძილზე, გაიარა რა შრომითი საქმიანობის მრავალი საფეხური, საქართველოს არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობამდე, მნიშნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს აღმშენებლობის საქმეში. დამოუკიდებელი საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის რანგში იღვწოდა საქართველოს საღმშენებლო პოლიტიკის დახვეწისა და მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებისთვის. ბოლო ათი თვის მანძილზე მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა.

მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა. მათ შორის „ბაქო-სუფსის“ და „ბაქო-ჯეიჰანის“ ნავთობსადენების, „შაჰ-დენიზის“ გაზსადენის, მიწისძვრით დაზიანებული რეგიონების აღდგენა და სხვა. მონაწილეობდა მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებულ კანონებისა და ნორმატიული აქტების დამუშავებაში. არის მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტის აღმზრდელი, სახელმწიფო საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე. არის ბიზნესის მეცნიერებათა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, მრავალი მედლისა და საპატიო სიგელის მფლობელი.

ვუსურვებთ ბატონ მერაბს ჯანმრთელად და ბედნიერად გაევლოს ათწლეულები ასწლეულისკენ...

ნოდარ მეძმარიაშვილი, ვაჟა ნადირაშვილი, დავით გურგენიძე, დავით დოლონაძე, ანზორ ჩოგოვაძე, გიორგი ავსაჯანიშვილი, როლანდ მიქაუტაძე.

ეძღვნება ლიხაურელ წმინდანს

ეძვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 160 წლის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ვებგვერდზე მულტიმედიური გვერდი შეიქმნა.

როგორც ეროვნულ არქივში აღნიშნავენ, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საქართველოს ეროვნული არქივი მრავალფეროვან მასალას ინახავს. მულტიმედიურ გვერდზე წარმოჩენილია ექვთიმე თაყაიშვილის საქმიანობა და უდიდესი წვლილი საქართველოს საზოგადოებრივ, კულტურულ, სამეცნიერო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი, პედაგოგი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნული გმირი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილი 1862 წლის 5 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში დაიბადა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 12 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0890; ევრო - 3.4952;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1803;
100 რუბლი - 4.0616; თურქული ლირა - 0.2252;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8193;
1000 სომხური დრამი - 6.3904.

ამინდი 10 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+14
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge